№ 2779
ოთხშაბათი,
23 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2779
ოთხშაბათი,
23 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. **ტელეფონი № 37.**

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ. 5 მ. 75 კაპ. 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ. 6 თვე 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიტანონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 თიბერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს **3 კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

დარია დავითის ასული გოცირიძისა შვილებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელ და ძვირფას ქმრის

დავით გიორგის ძის გოცირიძისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ რკინის საავადმყოფოს სამლოცველოდან წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში (ჩუღურეთი) ხუთშაბათს **24 მარტს**, დილის 9 საათზე, ხოლო იქიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—123—1)

ტფილისის და განჯის რკინის გზის დეპოს მემანქანენი და მათი თანაშემწენი აუწყებენ ამხანაგებს და თანამოსამსახურეებს უდროვოდ გარდაცვალებას ძვირფას და საყვარელ ამხანაგის მემანქანის

დავით გიორგის ძის გოცირიძისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოდან წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში (ჩუღურეთი) ხუთშაბათს, 24 მარტს, დილის 9 საათზე, ხოლო იქიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ქუთაისში გახსნილია **იაფი ვაჭრობა**
ყოველ გვარ საწერ და საკანცელარიო ნივთებისა
სავაჭრო სახლი **ი. ბოკიელოვის შვილები**
(10—ნკ—1)

კვირას, 25 მარტისთვის, დილის 10 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პირველი **საზოგადო კრება კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა.**

იმათ, ვისაც საზოგადოების წევრობა სურს, შეუძლიანთ ჩაეწერნენ ს. კ. მიხაილოვთან („ტიფლ. ლისტ.“-ის რედაქცია), ა. გ. ჯაბადართან („ცნ. ფურ.“ რედაქცია) და რ. ა. იოანესიანთან (ქალაქის საკრ. საზოგადოება); აგრეთვე კრების დღეს საბჭოს დარბაზის შესავალში.

სასტალრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა
იღებს შემოკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—3)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა
„კოლხიდა“-სთან
იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** (თეთრი და ყვითელი), **ბამბისა, ბოსტნეულისა,** და სხვა. შაბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
მ. ი. ზიბირაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ი. მუღნინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. [illegible].—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
მ. მ. [illegible]. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. ლიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. ზაზაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოში აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 2.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. ტელეფ. 729. (30—91—15)

ექიმი
ა. ნ. ლიასამიძე
იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის [illegible] პირდაპირ № 18. (60—28—42)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—403—40)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—27)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
21 მარტი

პეტერბურგი. გენ. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. 20 მარტის თარიღით: „ღამემ უცვლილებოთ ჩაიარა. ჩვენს ბოლო მარცხენა ფრთაზე 14 მარტს ღამით ჩვენი რაზმები პოდესაულ ეკსეა და პოდპორუჩიკ ტროიცკის მეთაურობით გარს შემოერტყნენ სოფ. ბაიშანჩენცზში იაპონელთ ექვსს დრაგუნს. მოკლულ იქნა 5 იაპონელი და ერთი ვახმისტრი ტყვეთ წამოიყვანეს.“

ბერლინი. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში ახალი შეტაკება მოხდა. გერმანელებს ერთი აფიცერი და 7 უბრალო ჯარის-კაცი მოუკლეს.

ათინა. იმპერატორი ვილჰელმი 28 მარტს მოვა კორფუში.

ვაშინგტონი. გარეშე საქმეთა სამინისტრო ფორმალურად უარსჰყოფს ბერლინიდანა და ტანჟერიდან მოსულ ცნობას, ვითომც შეერთებულ შტატებს ახალი შეთანხმება მოეხდინოთ გერმანიასთან მაროკოს შესახებ.

ტოკიო, 21 მარტი (ბერლინის გზით). თანახმად დღეს მიღებულ ოფიციალურ მოხსენებისა, იაპონელთ კაიუანელ ჯარების ნაწილმა გააძევა მიანხაცზედან რუსები და 18 მარტს დაიჭირა ეს სოფელი და ჩრდილოეთის მაღლობები. სხვა მხარეს არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მოსკოვი. ხოლერის შესახებ გახსნილ სიეზდში ათასამდე წევრი ჩაეწერა. ჯერ კიდევ ეწერებიან.

რიგა. გორკი მოსკოვს წავიდა.

ლოძი. პოზნანსკის საქსოვნერო საზოგადოების ფაბრიკაში მუშაობა განახლდა.

ასხაბადი. მეშხედიდან გამოქცეული რუსქვეშევრდომნი უკან ბრუნდებიან თავიანთ ოჯახებით. სპარსეთის მთავრობამ დააწყნარა მღელვარება.

დანციგი. კლავიტტერის დიდი ვერფი ცეცხლმა ამოსწვა. ზარალი დიდია.

ბუდაპეშტი, 21 მარტი. ხვალ დეპუტატთა პალატაში ფორმალური სხდომა იქნება და მერმე სესიას კრიზისის გადაწყვეტამდე გადასდებენ.

მადრიდი. მეფის რომში წასასვლელი პროექტი ირღვევა ოფიციალურად.

მოსკოვი. სესხზე ხელის მოწერამ მოსკოვში 50 მილიონ მანეთამდე შეკრიბა.

ტომსკი. ტომსკის ნოქართა საზოგადოების კრებამ დაადგინა: რადგანაც ამ ჟამად მთავრობა ამუშავებს კანონმდებლობას შრომის მოსაწესრიგებლად და აღებსა და ნოქართა შორის დამოკიდებულების განკარგების შესახებ, ამიტომ ტელეგრაფით ვთხოვთ ფინანსთა მინისტრს, ნება დაგვრთოს ნოქართა საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებათ ჩვენი წარმომადგენელნიც მიიწვიონ.

თავრიზი, („სპბურგ. კორესპ.“). გაავრცელეს ხელ მოუწერელ წერილები, რათა ადგილობრივი მცხოვრებლები სომხების წინააღმდეგ ააჯანყონ. წერილები წაართვა პოლიცმეისტერმა.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს დირექტორის სახელით: შემცირებულ იქმნას სამუშაო დრო, მოეწყოს შინ გაშვების საქმე, განკარგებულ იქმნან სადგომები და მოუმატონ ჯამაგირი. ვისაც ციმბირში გადასახლება აქვს გადაწყვეტილი, ისინი ტობოლსკის გუბერნიაში გაიგზავნებიან, ვინაიდან ჯერ-ჯერობით ამ გუბერნიაზე შორს არ შეიძლება გადასახლებულთა გაგზავნა. აქ ცნობა მოვიდა, დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორის ასული საგანგებო კომიტეტის რწმუნებული ბუჩკოვი, გამოუშვიათ იაპონელებს და რუსების პოზიციებზე დაბრუნებულა.

ბელოსტოკი. რამდენიმე დიდმა მეფაბრიკემ განაცხადა: რადგანაც შეუძლებლათ ვცნობთ ამგვარ პირობებში განკარგებით მრეწველობა და არ შეიძლება შევასრულოთ მუშების მოთხოვნები, ამიტომ ვიმშნავთ კანონისაგან აღნიშნულ ორის კვირის ვადს და შემდეგ დავკეტავთ ფაბრიკებს.

ტვერი. ტვერის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშოთ გამოცხადდა.

ბაქო, 20 მარტი. აქ ერთი კაცი საეჭვო ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა. ეჭვი აქვთ, ხოლერით თუ იყო ავადო. ბაქტერიოლოგიურათ იკვლევენ. ქალაქსა არ აქვს შეძლება და არავითარ ზომებს არ იღებს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
21 მარტი

ტოკიო, 19 მარტი. („დეილი ტელეგ.“) იაპონელების დაჭრილთა და ავადმყოფთა რიცხვი 51 ათასია ყველა გოსპიტლებში. 6000 ავადმყოფი სამინერალო წყლებზე გაგზავნეს მოსარჩენად.—ვლადივოსტოკის რეიდზე ყინვა გალხება ასე ხუთი დღის შემდეგ ჩინეთის მთავრობა ოპიუმით ვაჭრობის მონოპოლიას მართავს. მოსალოდნელი შემოსავალი 100 მილიონი მანეთია.

ტანჟერი, 20 მარტი. აბდელ მალექმა წაიკითხა ვილჰელმის წინაშე სულთანის წერილი, რომელშიაც იგი სურვილს აცხადებს წინანდელ მეგობრობის განმტკიცებაზე. ვილჰელმმა უპასუხა, რომ ისიც უერთდება სულთანის სურვილს და გულწრფელად უსურვებს მაროკოს განვითარებას. სულთანის ქვეშევრდომთა კეთილდღეობა ევროპის იმ სახელმწიფოთა კეთილდღეობაა, რომელნიც მაროკოსთან სავაჭრო საქმეებში არიან გაბმულნი, რასაც უეჭველი თანასწორობა უდევს საფუძვლათო. ამასთან ვილჰელმმა განაცხადა თავისი გადაწყვეტილება მაროკოში გერმანიის ინტერესების დაცვის შესახებ; თუ რა გზით განხორციელდება ეს ჩემი გადაწყვეტილება, ამის შესახებ მე მოველაპარაკები თვითონ სულთანს, როგორც მაროკოს უცილობლად თავისუფალ ხელმწიფესო.

პეკინი. თებერვალში, იაპონიის მუშებს, რომელნიც სვატოუ-ჩაოჩოუს გზას აკეთებდენ, 1000 ჩინელი დაეცა თავს. მოჰკლეს ინჟენერი და ორიც მუშა. გზის კეთება შეწყდა. მიზეზად ასახელებენ მცხოვრებლების სიძულვილს რეფორმების წინააღმდეგ და ჩინელთ სტუდენტების პროტესტს უცხოელებისაგან გზის გაკეთებისადმი. მკვლელობაში დამნაშავენი შეიპყრეს. იაპონიამ თვისი კონსული გაგზავნა ამსეში საქმის გამოსაძიებლად ჩინელ მოხელესთან ერთად. გამოძიების შესახებ მოხსენება უკვე მოვიდა პეკინში და ჩინეთის გაზეთებს გაცხარებული ბჭობა აქვთ.

იოჰანესბურგი, 20 მარტი (რეიტერი). გუბერნატორი გამოეთხოვა სამხრეთ-აფრიკის მცხოვრებთ და ინგლისში წავიდა.

პეკინი, 21 მარტი. შანჰაის გაზეთმა „ალარმინგბელ“-მა ბოქსერების აჯანყების შემდეგ დააწყო გამოსვლა, რათა წინააღმდეგობოდა მანჯურიის ოკუპაციას. იმავე დროს რუსეთის საწინააღმდეგო ლიგა დაარსდა. ერთის წლის შემდეგ გაზეთმა ევროპიელთ წინააღმდეგ გაილაშქრა, დაუახლოვდა იაპონელებს და მიჰყო ხელი ყვითელ რასის დაცვას. გაზეთის გავლენამ თავი იჩინა განსაკუთრებით აგვისტის პროცესის დროს, როცა მან მიაწოდა ხალხს ასაჯანყებლად. ისა, რომ რედაქტორი იაპონიაში გაიქცა, აშკარად ამბობს, თუ ვინ იყო გაზეთის მეთაური.

პეტერბურგი, 21 მარტი. მინისტრთა კომიტეტში გამართულ ბჭობას უმაღლეს სასწავლებლების შესახებ არ აქვს ოფიციალური ხასიათი და „პეტ. საგ.“-ით კერძო ცნობები გამოაქვეყნა.

ვარშავა, 20 მარტი. გამოაქვეყნეს გენ.-გუბერნატორის დადგენილებანი, რომელნიც შეეხებიან რევოლვერებისა, დამბაჩებისა და პატრონების გაყიდვის აკრძალვას: მაღაზიებმა უნდა დანომრონ და დაბეჭდონ რევოლვერები, დამბაჩები, პატრონები და ისე გადასცენ ადმინისტრაციას შესანახად; აკრძალულია ვაჭრობის ქვეშ ღიად ქუჩაზე და ხალხის შესაკრებ ადგილებში პეტარდებისა და სხვა სათამაშო ასაფეთქებელ საგნების დაწვება, რომელნიც, თუმცა საკვდომისა და დასახიჩრების მომასწავებელი არ არიან, მაგრამ ხმაურობით და შიშით აწუხებენ მცხოვრებლებს. ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, 500 მანეთი ჯარიმა გადახდება ადმინისტრაციის წესით ანა-და—სამის თვით დატუსაღებულ იქნება.

მოსკოვი, 21 მარტი. მოსკოვ-კურსკის გზის (ТЯГА) სამსახურის მთავარმა რევიზორმა კალაშნიკოვმა რევოლვერი ესროლა ამავე სამსახურის უფროსს ძიუბენკოს. მიზეზი—კალაშნიკოვის დათხოვნაა. ძიუბენკო ვნებიდად დარჩა.

პეტერბურგი, 21 მარტი. „პეტ. საგ.“-ის დირექტორმა მიღერმა წერილით მიჰმართა კობეკოს კომისიას, საჭიროა გაზეთების დეპეშების ცენზურის მოსპობაო. ამ წერილის დასკვნას გარეშე საქმეთა სამინისტროც დაეთანხმა.

ხარკოვი. სადგილ მამულო ბანკის აქციონერებმა შუამდგომლობა აღძრეს, ჩვენი ბანკის მოქმედება ბაქოსა, ერევნისა და განჯის გუბერნიებსა და ყარსისა და კასპის ოქათა მხრის ოლქებზედ გადავიდესო.

სიმბირსკი, 21 მარტი. ბიჩკოვისას ნება დართეს გამოსცეს სიმბირსკში გაზეთი „სიმბ. ვესტ.“.

პეტერბურგი, 21 მარტი. ჰააგის ელჩი სტრუვე დათხოვნილ იქნა ავადმყოფობის გამო. სადიპლომატო აგენტს ბულგარიაში ბახმეტევს უმოწყალესად ებრძანა იყვეს საგანგებო ელჩად და მინისტრის რწმუნებულად. ვარშავის გენ.-გუბერნატორის კანცელიარიის დირექტორი მენკინი დაინიშნა ლიებლინის გუბერნატორად.

მოსკოვი, 21 მარტი. გაიხსნა სახოლერო სიეზდი, რომელსაც ათასი წევრი-ექიმი და დიდძალი ხალხი დაესწრო. თავჯდომარედ აირჩიეს ელპატიევსკი-ჩენკაევი. რადგანაც შენობამ ვერ დაიტია დამსწრენი, ამიტომ სხდომა შესწყვიტეს. ჰფიქრობენ, ხვალ გახსნან კრება კონსერვატორიაში.

პარიზი. დილით დელკასემ მიიღო ორი დეპუტატი, რომელთაც უნდოდათ მაროკოს შესახებ შეჰკითხებოდნენ მას. დელკასემ განუცხადა მათ, საფრანგეთი არ შესცვლის პოლიტიკას მაროკოს შესახებო. მას კიდევ არ შეუძლიან რაიმე დაუმატოს სენატში ნათქვამს. დეპუტატებმა გადასდეს შეკითხვა.

ჟურნალ გაზეთებიდან

შუა მანჯურიაში. 21 და 22 მარტს მიღებულმა დეპეშებმა არეული ცნობები მოიტანეს იაპონიის ჯარის მოქმედებაზე. შანხაიდან იუწყებიან, იაპონიის მოწინავე რაზმი კუანჩენძის უახლოვდებაო, ტოკიოდან გამოგზავნილ ოფიციალურ დეპეშებიდან-კი ისე გამოდის, ვითომ იაპონელები ჯერ შორს უნდა იყვნენ კუანჩენძიდან. მაგრამ უცხოელი სამხედრო მიმომხილველები მაინც ჰფიქრობენ, რომ რუსის ჯარი დღესაც დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი.

ვენურ გაზ. „ვინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: „დეპეშებმა მეტად საყურადღებო ამბავი მოიტანეს: „ლოკ. ანცაიგერ“-ისა და „მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტები იუწყებიან, იაპონელების ძლიერი რაზმი ციციკართან გაჩნდა, ხარბინის ჩრდილოეთ-დასავლეთითაო. ამას გარდა „ტაიმს“ს ატყობინებენ ტოკიოდან, მარშალმა ოიამამ ოფიციალურად შეატყობინა გირინის პროვინციის ჩინელ გუბერნატორს, ჩვენი ჯარი 26—28 მარტს დაიჭერს გირინსაო. იაპონელების მისვლამ ციციკართან ძლიერ აღელვა პეტერბურგის უმაღლესი წრეები, რადგან ციციკართან მისულ იაპონელებს შეუძლიანთ გენ. ლინევიჩის არმიას ციმბირისა და ზაბაიკალის გზა მოუჭრან; ექნება ჯერ-ჯერობით ეს შიში გაზვიადებულიც იყოს, რადგან მარტო ერთი რაზმი ვერას გახდება, მაგრამ საყურადღებოა, რომ რუსებს ახლაც ეშინიათ, ვაი თუ იაპონელებმა კიდევ გვერდიდან მოუარიან ჩვენ ჯარსაო. გაიხსენეთ, რომ ლიაოიანისა და მუკდენის ბრძოლის წინადაც ცნობა მოვიდა, იაპონელთა რაზმები რუსის ჯარის უკან გაჩნდნენ, მერე ეს რაზმები მთელ არმიებად გადაიქცნენ, სამხრეთიდან მომავალ ჯარს შეუერთდნენ და რუსის ჯარს წრე შემოავლეს. მეტად საყურადღებოა აგრეთვე გირინისაკენ გალაშქრებაც; აქედან სჩანს, რომ იაპონელები ამ მოკლე ხანში ალყას შემოარტყამენ ვლადივოსტოკს. ჩვენ სულაც არ გაგვიკვირდება, თუ ორ-სამ კვირის შემდეგ, გენ. ლინევიჩის არმიას ციციკარის გზაც მოუჭრან და ვლადივოსტოკისაც. „მატენ“-ის კორესპონდენტი უპატებს, პეტერბურგში ელიან, რომ მომავალ სამ კვირაში დიდი ამბები მოხდება მანჯურიაშიო. ამ შიშის საფუძვლიანობას რუსეთის ბირჟის შეწუხებაც მოასწავებს: რუსეთის 4 პროცენტიან სახელმწიფო რენტის კურსი 83-მდე დაეცა. ჯერ ასე დაბლა რუსეთის რენტის კურსი არას დროს არ დაცემულა“. („ო. ნ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი გუნჩჟულინიდან იუწყება 15 მარტის თარიღით: გუშინ (14 მარტს) სადგური შაუმიაოძი დავცალეთ. იაპონელები წინ მოდიანო. სააგენტოს დეპეშებიდან-კი ისე გამოდიოდა, თითქო რუსის უკანა რაზმს მხოლოდ 18 მარტს დაეცალოს ეს სადგური.

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: მანჯურიაში დათბა, თოვლი გალხვა, წყლები ადიდდა და გზები წახდა. ტოკიოდან იუწყებიან, ჯარს მეტად უძნელდება მოძრაობაო, რასაკვირველია, რუსებსაც ამნაირადვე უძნელდებათ ცუდ გზებზე სიარული.

ვლადივოსტოკი. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს ჯერ კიდევ ერთის თვის წინად ატყობინებდნენ ვლადივოსტოკიდან: მცხოვრებლები მიდიან აქედან. ყველაფრის ფასმა აიწია, თუმცა რკინის გზით საკლავი და ყველანაირი სანოვაგე მოაქვთ. ზღვიდან ვერაფერი ვერ მოაქვთ, რადგან იაპონელები არც ერთ გემს არ უშვებენ. ქალაქში სამხედრო წესები დააწესეს. 1000 ჯარისკაცი კაზარმებში დგას, 25 ათასი ფორტებში; ამას გარდა ყოველ-დღე მაშველი ჯარი მოდის, გენ. კავამურას მთავარი სადგომი სონჩინში აქვს გამართული; იქიდან გენ. კავამურამ ძლიერი რაზმი გაგზავნა მდ. იალუს სათავისაკენ, ასე რომ იაპონიის არმია თითქმის უბრძოლველად გაბატონდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში. იაპონიის გემები წესიერად მიდი-მოდიან სონჩინსა და გენზანს შუა და ყოველნაირი საქონელი მიაქვთ-მოაქვთ. სონჩინი, ანუ შინგჩინი ზღვის პირად მდებარეობს გენზანიდან დაახლოვებით 180 ვერსტის მანძილზე, ჩრდილოეთით. („ნ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს ვლადივოსტოკიდან ატყობინებენ: შარშან ყველა სამოქალაქო დაწესებულება ნიკოლსკ-უსურიისკში გადაიტანეს, ეხლა ხაბაროვსკში გადააქვთ. ნიკოლსკის მცხოვრებლებიც რუსეთში მიდიანო.

საგანგებო ფული ჩინელებისათვის. მუკდენის ბრძოლის შემდეგ ჩინელები აღარ იღებენ რუსის ფულს, არც ქაღალდისას, არც ვერცხლისას. პეტერბურგში განგებ სხვა ვერცხლის ფულსა სჭრიდნენ ჩინურის ზედწარწერით და მანჯურიაში ჰგზავნიდნენ ჩინელებისათვის. მაგრამ ჩინელები აღარც ამ ფულს იღებენ. ამიტომ ამ ჟამად პეტერბურგში საგანგებოდ დამზადებული 60 მილიონის ვერცხლის ფულს აღნობენ და ჩინელებისათვის ხელ-ახლად პატარ-პატარა ზოდ ვერცხლს ამზადებენ და ამას იქით ჩინელებს ნაყიდ საქონელსა და სანოვაგეში ზოდ ვერცხლს მისცემენ. („ვ. ნ.“).

მობილიზაცია ჯერ არ მოხდება. „სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: რუსეთის მთავრობამ დროებით გადასდვა 7 საარმიო კორპუსის მობილიზაცია, რადგან ციმბირის რკინის გზა ჯერ კიდევ დიდხანს მოუნდება წინანდელ მობილიზაციის დროს დამზადებულ 200 ათას კაცის გადაყვანას. ამ რიცხვიდან აქამდე ომის ასპარეზზე სულ 80 ათასი კაცი ჩაიყვანეს, დანარჩენ 120 ათასიდან ზოგი გზაშია, მომეტებული ნაწილი-კი ჯერ არც-კი დაძრულა ადგილიდანაო. („ო. ნ.“).

გენ. კუროპატკინის ჯამაგირი. „სინ ოტეჩესტვა“ იუწყება: გენ. კუროპატკინს მანჯურიის პირველ არმიის უფროსად დანიშვნას შემდეგაც წინანდებურად მთავარსარდლის ჯამაგირი მიეცემა: წელიწადში

144 ათასი მანეთი, ესე იგი თვეში 12 ათასი მანეთი; ამას გარდა ულუფა სხვა ეძლევაო.

„მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყებოდა ამას წინად, რუსის მთავარ-სარდალს მანჯურიაში 300 ათასი მანეთი ეძლევა ჯამაგირადაო.

გენ. ბატიანოვი. მესამე არმიის უფროსად სამხედრო საბჭოს წევრი გენ. ბატიანოვი დანიშნეს. გენ. ბატიანოვი ამ ჟამად 70 წლისაა. ახალმა სარდალმა განათლება საზღვაო კორპუსში მიიღო, მერე ხმელეთის ჯარში გადავიდა, ყირიმის ომსა და პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში მიიღო მონაწილეობა, დიდხანს მსახურობდა კავკასიაში და გამოცდილ გენერლად ითვლება. ვნახოთ, როგორ გამოადგება ახალ სარდალს თავისი დიდი ხნის გამოცდილება. („ო. ნ.“).

რუსეთის სამხედრო სესხი. ლონდონიდან იუწყებიან: საფრანგეთის ბანკებმა გადასწყვიტეს, რუსეთს ფული ვასესხოთ კონტრიბუციის მისაცემად და ამით იაპონიასთან შერიგება გავუადვილოთო. („ნ. დ.“).

კუნძული სახალინი. „სინ ოტეჩესტვა“ ჰფიქრობს, იაპონელები კუნძულ სახალინს მარტის გასულს დაიჭერენო. 15 მარტს კორსაკოვის რეიდი ყინულისაგან გაიწმინდება, 1 აპრილიდან სელდი (თევზი) დაიძვრება და იაპონელები თევზის ჭერას შეუდგებიან. უეჭველია, იაპონელები კარგად გამოიყენებენ კუნძულ სახალინის ბუნებრივ სიმდიდრეს და სახალინი საკატორგე ადგილად აღარ იქნება. ხმა დადის, სახალინის გუბერნატორი ლიაპუნოვი შეეკითხა რუსეთის საპატიმროთა უმთავრეს გამგეობას, რა ახალი ფორმა დააწესეთ ციხის ზედამხედველებისათვისაო. ცხადია, კუნძულს არაფერი შიში არ მოელის და მთავრობა ზოგიერთ რეფორმასაც აპირობსო, ოხუნჯობს „სინ ოტეჩესტვა“.

იაპონიის ჯარის წესები. პორტ-არტურში ნამსახურ რუსის პოდპოლკოვნიკს ბოროდატოვს პეტერბურგში ლექცია წაუკითხავს და, სხვათა შორის, უთქვამს: იაპონელებს საუცარი სამხედრო წესები და ორგანიზაცია აქვთ და უმთავრესად ამით სჯობნიან რუსებსაო. მაგალითად, ყუმბარების მიტანა ბრძოლის ველზე საოცრად აქვთ მოწყობილი: როცა 203 მეტრიან გორას ზარბაზანს უშენდნენ, ყოველ წამს 40—60 ყუმბარას უშვებდნენ და რამდენისამე დღის განმავლობაში ერთს წამს არ შეუწყვეტიათ სროლა. აქედან სჩანს, რა იდეალურად აქვთ მოწყობილი ეს საქმე იაპონელებსაო. („რ.“).

სოფლად

ლეჩხუმი. გურიის მოძრაობამ ლეჩხუმსაც სხვანაირი ელფერი დასდო. აქაური ხალხი ძლიერ გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ყველაფერს: შორეულ აღმოსავლეთის ომს, პეტერბურგში მომხდარ ამბებს და იმ მოძრაობას, რომელიც ამ ჟამად საქართველოშია. იშვიათად შეხვდებით ისეთ კაცს, ქალს, მხცოვანს თუ ჭაბუკს, რომ არ გკითხოსთ; „შენი ჭირიმე, გვითხარი რავაა გურულების საქმე შენს გაზეთში? მართლა ჯარს აგზავნიან გურიაში? ეს არ არის კაი საქმე“. 14 მარტს, ღამის პირველ საათზე, ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა ს. ორბელის საგლეხო კანცელარიას. ცეცხლი გადაედო იქვე სამინისტრო სკოლასაც და ერთი საათის განმავლობაში ერთიანად იბუგა ორივე შენობა. დაიწვა ყველაფერი, რაც შიგ იყო და ამათში ხალხის დანარბევი ნივთები: ქვაბები, ნაჯახები და სხვ. გაღმა-გამოღმა სოფლები სულ გაჩირაღდნებული იყო ცეცხლის შუქით. ბევრი იკივლეს, რევოლვერებიც კი დასცალეს იასაულებმა და მასწავლებელმა მშველელის მოსაწოდებლად, მაგრამ ამაოდ... 15 მარტს დილით, გადმოვიდა მაზრის უფროსი, ბოქაული და სხ. საქმის გამოსაძიებლად, მაგრამ დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს. **ლაჯანელი ბანოვანი**

—

ჭილურტი (ქართლი). 5 მარტს შეიკრიბნენ თავის დღევანდელ მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლად შემდეგი სოფლები დუშეთის მაზრაში: ჭილურტი, ებნისი, გრემის-ხევის საზოგადოება, ბაზალეთი, ქაისხევი, საკრამული და სხვა ახლო-მახლო პატარა სოფლები. ყრილობებზე სოფლებმა გადასწყვიტეს შეუერთდნენ სხვა სოფლებს და მათთან ერთად მოითხოვონ საჭირო ცვლილობების მოხდენა გლეხის კაცის ახლანდელ ცხოვრებაში.

—

სოფ. ძალისი (ქართლი). 15 მარტს მაზრის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს სოფ. ძალისში ორი კაცი, რომელთაც ადგილობრივი პოლიცია ეჭვის თვალით უყურებდა და სთვლიდა მეთაურებად სოფლის აღელვებაში. დატუსაღებული პირები ჩაიყვანეს სოფელ მუხრანში, სადაც იმ ჟამად იმყოფებოდა მაზრის უფროსი. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფელ მუხრანში მივიდა ძალისიდან კომლზე კაცი და მოსთხოვა განეთავისუფლებინათ დატუსაღებულები, ან მთლად სოფელი დაეტუსაღებინათ. სოფელი თავის მოთხოვნილებას იმით ასაბუთებდა, რომ თუ დანაშაულობა რამე მიუძღვის სოფელს მთავრობის ან მემამულეთა წინაშე, ეს მთელი სოფლის დანაშაულია და არა ერთისა ან ორის კაცისა, ამიტომ მთავრობამ დასაჯოს მთელი სოფელი და არა რამდენიმე პირიო. შემდეგ მოვიდა სოფელი წილკანი და აგრეთვე მოსთხოვა მაზრის უფროსს დატუსაღებულთა განთავისუფლება. წილკანს მოჰყვა მჭადის ჯვარი, ჭილურტ-ებნისი, გრემის-ხევი, შუახევი, ქვიტკირის-წყარო, კოდის წყარო. ყველა სოფლებმა მოსთხოვეს მაზრის უფროსს დაპატიმრებულთა განთავისუფლება, ან საერთო სასჯელი. სოფლის მოძრაობათ, სთქვეს მოლაპარაკეებმა, გამოწვეულია ღრმა ეკონომიურ და საზოგადოებრივ პირობებით; ამ მოძრაობაში ყველა გლეხს უდევს მონაწილეობა და ამიტომ თუ გლეხკაცს სასჯელი მოელის,—ეს უნდა იყოს სასჯელი ყველასთვისაო. მაზრის უფროსმა პირველად უარი განუცხადა სოფლელთ თხოვნის დაკმაყოფილებაზე, ბოლოს-კი განთავისუფლა დაპატიმრებულნი შემდეგის სიტყვებით: „ვანთავისუფლებ დატუსაღებულთ იმიტომ, რომ თქვენ მშვიდობიანობის მომხრე და დამცველნი ყოფილხართ და უწესოების მოხდენა არ მოისურვეთო“.

—

სოფ. ჭოტორი (ქიზიყი), 18 მარტი. ჭოტორელები მეტად აალელვა იმ ამბავმა, რომ მათ ართმევენ მამულებს რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის. ჭოტორელებმა განუცხადეს მაზრის უფროსს, რომ დედა ბუდიანად გავსწყდებით, ჩვენ მამულებს-კი არავის დავანებებთო. მიწის მზომელი, რომელიც მოვიდა მამულების მისაზომად, უკან წავიდა. საქმე ჯერ გამოურკვეველია.

—

ქიზიყი. არც ქიზიყს მკვიდრნი ჩამორჩნენ სხვებს. აქაც ამ ცოტა ხანში გაისმა დიდი უკმაყოფილება აწ არსებულ წესების წინააღმდეგ. გაისმა ჩივილი ბეჩავ ცხოვრებაზედ. თუმცა ჯერ-ჯერობით საიმისო არა მომხდარა რა, მაგრამ მაინც არეულ-დარეულია დღევანდელი ვითარება. მით უმეტეს, რომ მთელმა ქიზიყმა, თითქო ჯადო უცდესო, ისე ერთბაშად გაახილა თვალი, ხალხი გატაცებულია ერთის სურვილით, ყველას პირზედ ერთი აკერია: გვეყო ამოდენა ტანჯვა და დამცირება. ვმუშაობთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, მაგრამ ჩვენ ისევ მშივრები, ტიტვლები და გაუნათლებლები ვართო.

17 ამ თვეს სოფ. ბოდბისხევში მოხდა კრება ქიზიყის ყველა სოფლის წარმომადგენელთა. ამ კრებას უნდა წინდაწინვე შეემუშავებინა ქიზიყის საჭიროებანი და შეედგინა მოთხოვნილებანი. კრებას დაესწრო ასამდე წარმომადგენელი. კრებამ გასტანა თითქმის ოთხ საათამდის. გამოირკვა, რა შევიწროვებული და დაბეჩავებულია ქიზიყი ათას გვარ გადასახადით, უსწავლელობით და უუფლებობით. დაადგინეს (ამ დადგენილებას გადასცემენ გასაშინჯავად მომავალ დიდ კრებას მთელი მაზრის მცხოვრებთა): მოისპოს ერთხელ და სამუდამოდ უცხო ტომის გადმოსახლება სიღნაღის მაზრაში, რადგან თვით ადგილობრივ მკვიდრთაც არა ჰყოფნით ადგილ-მამული, მოისპოს გამიჯვნის დავა სასამართლოებში გლეხთა და თავისუფალ ხალხს შორის. ის ტყეები, რომლითაც სარგებლობდა ქიზიყი წინად, უნდა გადაეცეს ქიზიყს საკუთრებად, აგრეთვე ის სათავადო ტყეები, რომელნიც დაეტანება ამ საზღვრებში. ტყით სარგებლობა უნდა იყოს უფასო დაუბილეთო. ეს ტყეებია: შირაქის, სიღნაღის და ლაგოდეხის სალესნიჩოები. გაუქმდეს საერო დარაჯები. გადასახადი დაარსდეს შემოსავალზედ 500 მ. ზეით. ნაკლები უნდა განთავისუფლდეს; მოისპოს ბაჟი როგორც პირდაპირი, ისე არა პირდაპირი; ქართველი ჯარის კაცები არ უნდა იგზავნებოდნენ უცხო ქვეყანაში, არამედ მსახურებდნენ თავიანთ სამშობლოში. შემოღებულ იქმნას დამოუკიდებელი თვითმმართველობა სოფლად. მოისპოს წოდებრივი სასამართლო. დაწესდეს ერთი სამაზრო სასამართლო ყველა წოდებისთვის თანაბარი. სამართალი და საქმის წარმოება უნდა იყოს ქართულ ენაზედ. მოსამართლე უნდა ირჩეოდეს ხალხის მიერ ვადით. ყველა დაწესებულებაში უნდა იყოს ქართული ენა. გაუქმდეს ბაშფორთი. სწავლა უნდა იყოს სავალდებულო 16 წლამდის, უსასყიდლოდ უნდა დაარსდეს ჩვენს ქვეყანაში საშუალო და უმაღლესი სკოლები ყველა დარგისა. სწავლება უნდა სწარმოებდეს ქართულად. ღარიბებს უნდა მიეცეს ტანისამოსი და სწავლის ნივთები. უნდა გაუქმდეს ეგზამენები (გარდა უმაღლეს სკოლებისა) და ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ერთი სასწავლებლიდან მეორეში შეიძლებოდეს გადასვლა შესაფერ კლასში. მიეცეს ქიზიყს ნება გაიყვანოს კახეთში რკინის გზა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ხალხის ეკონომიურ განვითარებისთვის. დაარსდეს განსაკუთრებული ქიზიყის მაზრა ყველა დაწესებულებებით და სამმართველოებით რომელიმე შუაგულ სოფელში. ქართული ეკლესია უნდა იყოს დამოუკიდებელი; წირვა-ლოცვა ქართულად. მოესპოთ მღვდლებს კოდის პურის და სხვა გადასახადი; დაენიშნოთ სასყიდელი ხალხის თანხმობით და სხვა. **გაწირული.**

—

ოზურგეთი. 18 მარტს. აქ ჩამოვიდა ახლად დანიშნული გენერალ-გუბერნატორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი. გენერალ ალიხანოვის სახლთან შეხვდნენ ქალაქის წარმომადგენელნი, რომელნიც გაიცნო თავ. ორბელიანმა და დაჰპირდა თქვენ ცალკე გნახავთ და მოგელაპარაკებითო.

19 მარტს, საათის თერთმეტზე, თვითმმართველობის დარბაზში მივიდა ამალითურთ, სადაც დახვდნენ ქალაქის წარმომადგენელნი, რამდენიმე ვაჭარი და ადგილობრივი მცხოვრებნი.

რაშია საქმე, რა ამბავია რომ გურიაში ეს ერთი ხანია ასეთი არა ჩვეულებრივი ამბები ხდებაო?—ჰკითხა გენერალმა ხმოსნებს.

მოგახსენებთ თქვენო ბრწყინვალებავ,—დაიწყო ხმოსანმა პლ. ბერიძემ.—ჩვენ გურულებს, ყოველთვის მშვიდ, კეთილ და პატიოსან ხალხად გვთვლიდნენ. არა ყოფილა მაგალითი, ჩვენ როდისმე წინააღმდეგობა გაგვეწიოს. მაგრამ მაინც დღეს ყველა მტრად გვთვლის. არ ვიცით, რა დაგვიშავებია. რა მოხდა გურიაში იმაზე მეტი ან იმისთანა, რაც სხვაგან არა ხდება?!. როდის იყო, ხუთასი და ათასი კაცი, რომ ერთად შეკრებილიყოს, რამე გაენადგურებინოს და უწესოება მოეხდინოს? წაიკითხეთ გაზეთებში სხვაგან რა ამბები ხდება! რა არის, რომ ჩვენ, გურულები ამოგვიღეთ მიზნადო.

აქ ორატორი აღელდა, რაზედაც გენერალმა ალიხანოვმა შენიშნა: ნუ აღელდებით, დაწყნარებით ილაპარაკეთ და ისე გაგვაგებინეთო...

როგორ არ უნდა ავღელდე, მაშ როდის ავღელდეთ, თუ არ ეხლა! არავინ არ მიაქცია ჩვენს გაჭირვებას ყურადღება. ჩამოვიდა გუბერნატორი, ავუხსენით ყველაფერი, დაგვპირდა, მაგრამ არაფერი.

თავ. ორბელიანმა სთქვა: თქვენ ამბობთ: აქ არაფერი არ მომხდარაო. როგორ გეკადრებათ მაგის თქმა, მაშ რა იყო, რომ შუა დღეზე კაცი მოჰკლეს. თქვენ თითონ ხართ დამნაშავენი, ხელს უწყობთ მაგისთანა კაცებს, უკანასკნელი ბავშვები რაა, ისიც კი ვერ აღგიზრდიათ: სკოლის ფანჯრები ჩაულეწნიათ. თქვენ ერთი სიმღერა იცით, „გალიაში რომ გაგზარდეო,“—აი ბავშვები სწორედ ისე უნდა აღზარდოთ. ამას გარდა, ვისი თხოვნით იყვნენ აქედან წარმომადგენელნი მთავარ-მართებლის მოადგილეს მალამასთან?

„არ ვიცით, ჩვენ არ გაგვიგზავნიაო“, უპასუხეს.

მაშ რა მოხელენი იყვნენ..,

„თუ ნებას მომცემთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მე მოგახსენებთ, რამ გამოიწვია გურიაში ასეთი უკმაყოფილება,—დაიწყო დ. ცეცხლაძემ.—1902 წელს დიდი მოუსავლობა იყო გურიაში. გლეხების ნამუშევარი მამულის პატრონს არ აუთავდა, ისე ცოტა ჭირნახული მოვიდა. ამას მოჰყვა 1903 წელიც. ეს კიდევ უარესი გამოდგა, მემამულეებმა მიმართეს მაზრის უფროს (თითონაც აქ ბრძანდება), ნება მოგვეცით განცხადება დავბეჭდოთ, დავურიგოთ გლეხებს და როგორც მათ უნდათ, ისე აიღონ საყანე ადგილებიო. მაგრამ მან ამისი ნება არ მისცა“...

აქ მაზრის უფროსმა ჯაფარიძემ შენიშნა: ეს ტყუილია, მაგვარი არაფერი არა ყოფილა, მე, პირიქით, ვარიგებდი გლეხებს, ვთხოვდი მემამულეებს მორიგებოდნენ, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა.

ასე არ შეიძლება, უნდა დაწყნარდეთო, —თქვა გენერალმა თავ. ორბელიანმა.—მე ვტოვებ აქ კეთილ და პატიოსან კაცს—უჩვენა გენერალ ალიხანოვზე—თუ რამე დაგჭირდეთ, ამას მიმართეთ და ყველაფერს აგისრულებთ. მალე ნამესტნიკიც ჩამოვაო.

ამ სიტყვებით გამოეთხოვა ყველას, ქალაქი დაათვალიერა და იმ დღესვე ქუთაისში დაბრუნდა. **სილია.**

—

სოფ. მეჯვრისხევი (ქართლი). 20 მარტს სოფელ მეჯვრისხევში [illegible] თავის მოურავს სხვა სოფლების გლეხობა, მაგრამ ბოქაულმა, როგორც-კი გაიგო ხალხი თავს იყრისო, დილითვე დარაჯები და ყაზახები გზებში ჩააყენა და არ უშვებდა, რომ თავი მოეყარა ხალხს თავის ჭირ-ვარამის გამოსათქმელად. ათი საათი იქნებოდა, როდესაც ეკლესიაზე მიასვენეს სანდრო გოგოლაძის მეუღლე. ეკლესიაზე მოიყარა თავი ორასამდე კაცმა და გაჰყვა ცხედარს. გზაში ხალხი თან-და-თან ემატებოდა. სასაფლაოზე შეიკრიბა თითქმის ოთხი ათასამდე კაცი, ოსი და ქართველი. დასაფლავების შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი თავიანთ ჭირ-ვარამზე. გამოსთქვეს თავიანთი აზრი წარუდგინონ მემამულეებს უმთავრესი მოთხოვნილება—დროებით ვალდებული გლეხები დაუყოვნებლივ განთავისუფლდნენ, საბალახო და ტყე (მხოლოდ ნედლი) თავისუფალი უნდა იყოს. ნედლ ხე-ტყის გამოტანას ხალხის მიერ ამორჩეულნი უნდა სწყვეტდნენ. უკეთუ მემამულის მამულს მოხნავენ, მეათედი მიეცეს. მღვდლებს დრამა მოესპოთ. სკოლა სახელმწიფო ხარჯზე იყოს. განაცხადეს: საავადმყოფო, ექიმი და ბებია ქალი მხოლოდ თავად-აზნაურთათვის იყო და არა გლეხთათვისაო, როცა ჩვენ ავადმყოფს მივიყვანდით, ყურადღებას არც-კი გვაქცევდნენ, გადასახადი-კი გვხვდებაო. გლეხებმა შეჰფიცეს ერთმანეთს და წყნარად დაიშალნენ. **დამსწრე.**

—

გომარეთის (ბორჩალოს მაზრა). სოფლის საზოგადოებამ, რიცხვით 700 კომლმა, დეპეშით სთხოვა მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონების გამგეობის უფროსს, სახელმწიფო ტყით სარგებლობა მუქთად დაგვითმეთ, რადგან ქონებრივად მეტად დაქვეითებულნი ვართ და არ შეგვიძლიან ფულის გაღებაო.

—

სოფ. ჭალა (ქართლი). მოძრაობა გლეხებისა თან-და-თან იზრდება ქართლში. ეს ახალ ამბად არ ჩაითვლება. გლეხთა გონიერ მოთხოვნათა გვერდით თავს იჩენს სამწუხარო ფაქტიც და თუ ამ სამწუხარო ფაქტს დროზე არ ეშველა, შესაძლებელია მოძრაობას ცუდი შედეგი მოჰყვეს. მემამულენი უარზე არ არიან დააკმაყოფილონ გლეხთა მოთხოვნანი და ესა და თუ ის უთანხმოება მშვიდობიანად გაათავონ. მაგრამ ამ არეულობის დროზე „ორატორობა“-ს და „ხალხის კეთილისმყოფელობა“-ს ისეთებიც იჩემებენ, რომელთაც „ერთობა“-ს აზრთან საერთო არაფერი აქვთ; რომელთაც მხოლოდ პირადი ინტერესი ამოქმედებსთ და არაფერსა ზოგავენ ისარგებლონ გარემოებით და ხელი მოითბონ. მათთვის სულ ერთია, ვინ გადიწვება, ვინ მოჰკვდება, ვინ გაოხრდება—გლეხი თუ თავადი! სარგებლობენ იმითაც, რომ აღელვებული ხალხი ადვილად უჯერებს [illegible] ნათქვამს. თვითონ ხალხი ახლა ყველას [illegible]. საჭიროა, სხვა სოფლიდან ჩამოხვიდეთ, ხალათი გეცვათ ტანზე, დაიძახოთ „ერთობას“ გაუმარჯოს, რომ „ანგელოზად“, ჰკუის დამრიგებლად გამოგაცხადონ.

აი, ასეთი კაცი გაჩნდა სოფ. კასპს. იძახის—სარქისა მარქაროვი ვარო. თუმცა ნამდვილად არავინ იცის მისი ვინაობა. მჭერმეტყველება არ უყვარს მარქაროვს. მისი მოძღვრება მოკლეა: მემამულენი მოჰკალით, მათ ქონებას ცეცხლი წაუკიდეთ, ტყე გაჰკაფეთ და სხვა. იმის ვამკონე ხალხმა გაჰკაფა საკასპო ტყე. გამოიტანა, რაც სჭიროდა, გამოიტანა მეტიცა და ურმები ორ-ორ აბაზად მედუქნეებს მიჰყიდა. ხალ-

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

I

დიდი ხანია არ გველაპარაკნია მკითხველთან ინგლისის საქმეებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. არ ვფიქრობ, რომ რუსეთის და კერძოდ ქართველების ცხოვრებას ესლანდელ პირობებში მკითხველს საკმაოდ თავისუფალი დრო ჰქონდეს ევროპის პოლიტიკის ამბებისა და მოვლენებისათვის. თვითონ ევროპაც და მთელი განათლებული კაცობრიობა უკანასკნელი წელიწადი სცხოვრობს შორე-აღმოსავლეთის ომის ამბებითა და რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობისა და რეფორმის შესახებ ცნობებით. ეს მეორე წელიწადია, რაც დიდ და პატარა გაზეთების სვეტები ავსებულია უდიდეს დეპეშებით ომსა და რეფორმებზედ რუსეთში. ევროპიელ მკითხველებისათვის დღეს ჩვეულებრივი და ნაცნობია რუსეთის იმპერიის ქალაქები, პროვინციები და ერები, ისე როგორც გენერლების, მინისტრების, მარშლების და ერობის და ქალაქის მოღვაწეთა სახელები.

დღეს ჩვენ-კი არ ვიტყობინებით ევროპიდან დიდ და მნიშვნელოვან მოვლენებს, ჩვენის მკითხველებისაგან, დიდის იმპერიას ყველა მცხოვრებთაგან, რუსი იქნება იგი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, თუ სხვა, ველით დიდ საქმეთ და იმ დიდებულ, ცხოვრების განმაახლებელ რეფორმების დასრულებას, რომელიც სასიკეთო გავლენას იქონიებს მთელ აღმოსავლეთ ევროპის შემდეგ განვითარებაზე.

„ქართველების წერილობით მოხსენებას მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარისადმი“, რომელიც „რუს“-ის № 40-ში დაიბეჭდა, დიდის ინტერესით ჰკითხულობს აქ მოაზრე ხალხი და სთვლის ისტორიულ დოკუმენტად, რომელიც დაუწერია პოლიტიკურად და მოქალაქობრივ დიდათ მომწიფებულ პირებს.

მაგრამ არის ისეთი მოვლენები და აზრები, რომელთა ცოდნა საინტერესოა იმათთვისაც-კი, ვინც გატაცებულია საზოგადოებრივ რეფორმის მჩქეფარე ცხოვრებით. ასეთ საინტერესო მოვლენად, განსაკუთრებით ჩვენის მკითხველისათვის, მიგვაჩნია უკანასკნელი ფაზისი ირლანდიის ეროვნულ მოძრაობისა და კონსერვატიულ სამინისტროს იმ პოლიტიკისა, რომელმაც ირლანდია უკიდურესად გამწვავებულ კრიზისამდე მიიყვანა.

განსაცვიფრებელი გავლენა ჰქონდა ირლანდიას ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობაზე გასულ საუკუნეში. შორს ნუ წავალთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ კონსერვატორების პარტიის გაძლიერება და გაპარტახება უკანასკნელ 15—20 წლის განმავლობაში ირლანდიისა და მის ეროვნულ მოძრაობის საქმეა. ოთხმოციან წლების დასაწყისში გლადსტონმა პარნელის საშუალებით მოლაპარაკება გამართა ირლანდიის წარმომადგენლებთან: შესწყვიტეთ აგრარული უწესოებანი და სამაგიეროდ აგრარულ კანონებს გავიყვან პარლამენტში და ირლანდიის ავტონომიის პროექტსაც წარვადგენო. ამ პროექტით ირლანდიას საკუთარი პარლამენტი უნდა ჰქონებოდა დუბლინში. აგრარული კანონები, რომლის ძალით საიჯარო ფასს მოსამართლე სწყვეტს და არა მამულის პატრონი, მაშინვე გაიყვანა პარლამენტში და 1886-ში კი გლადსტონმა წარუდგინა პარლამენტს თავისი განთქმული პროექტი ირლანდიის ჰომრულისა.

ირლანდია დაწყნარდა. სამაგიეროდ ინგლისის ლიბერალური პარტია ორად გაიყო; უმცირესობა ჩემბერლენისა და ჰერცოგ დევონშირის მეთაურობით კონსერვატორებს შეუერთდა. ამათის წყალობით კონსერვატორები იმ დროიდან დაწყებული თითქმის შეუწყვეტლად ბატონობენ ინგლისს. მათი ახალი მოკავშირენი, ლიბერალ-იუნიონისტები, ანტი-ავტონომისტები, ნელ-ნელა სრულიად ჩამოჩნენ ლიბერალურ პრინციპებს და გადაიქცნენ წმინდა წყლის რეაქციონერებად. მათი წარმომადგენელი ჩემბერლენი, როგორც ვიცით, შეიქმნა პროგრესიულ ინგლისის საბედისწერო პიროვნება. განადგურება და მოსპობა სამხრეთ-აფრიკის ორ პატარა რესპუბლიკისა, ტრედ-იუნიონების უფლებათა შეკვეცა, ჩინელების მონობის შემოღება სამხრეთ-აფრიკაში, სახალხო განათლების გადაცემა მღვდლების ხელში, შემოღება გადასახადებისა უცხოეთიდან მოტანილ, სახალხოსათვის აუცილებელ სანოვაგეზე, ერთის სიტყვით ყველაფერი, რაც სამარცხვინო ლაქად აჩნევია გლადსტონის, მოლის, სპენსერის და კაცობრიობის სხვა მეგობრების ინგლისს, სულ ბოლასტე-ლიბერალების საქმეა, განსაკუთრებით ჩემბერლენისა. რომ ესენი არა, კონსერვატორები თავის დღეში ვერ გაბედავდნენ ძველ ბოროტების აღდგენას; მაგრამ გაძლიერდნენ თუ არა, მაშინვე გაბედეს. ირლანდიის უფლებანი ვისღა ახსოვდა.

მაგრამ ძალმომრეობამ, ძველ ბოროტების აღდგენის პოლიტიკამ კრედიტი დაუკარგა კონსერვატორებს ხალხის თვალში. უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში დამატებით არჩევნებზე მათ დაჰკარგეს პარლამენტში რამდენიმე ადგილი ერთი მეორეზე. საქმე იქამდი მივიდა, რომ ლიბერალურ ოპოზიციას ეხლა 25 ათასით მეტი ხმა აქვს, ვიდრე კონსერვატორების უმრავლესობას. საოცარი ამბავია, მაგრამ ეგრე კი არის: კონსერვატორებმა გაიმარჯვეს უკანასკნელ საერთო არჩევნების დროს, მაგრამ მას შემდეგ ამომრჩევლებმა ზურგი შეაქციეს მათ.

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბალფურ-ჩემბერლენის პარტიამ გადასწყვიტა ირლანდიელ დეპუტატების მიმხრობა, და ამათი რიცხვი კი 83 პარლამენტში. კონსერვატორები ერთბაშად ირლანდიის ერის მეგობრები გახდნენ—გაიყვანეს კანონი ადგილ-მამულის გამოსყიდვის შესახებ ხაზინის დახმარებით, დევნის პოლიტიკის მაგიერ ლიბერალურ რეფორმების გზას დაადგნენ შინაგან მმართველობაში; უფრო შორსაც წავიდნენ: მართალია, ჰომრულზე არა უთქვამთ რა, მაგრამ ისეთ ვრცელ ადგილობრივ თვითმმართველობაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომელზედაც წინად არც კი ოცნებობდნენ. თანახმად ასეთის პოლიტიკისა, მეფის მოადგილედ, ირლანდიის საქმეთა მდივნად და სამოქალაქო მმართველობის უფროსად დანიშნეს განათლებული, კეთილსინდო და ხალხის საყვარელი პირები. განსაკუთრებით სახელმწიფო მდივანმა უინდჰემმა და მმართველობის უფროსმა მაკდონელმა დაიმსახურეს ნდობა და უკეთეს მომავლის იმედები გამოიწვიეს. ფიცხი, გატაცებული და მოძრავი ირლანდიელი ნატვრის განხორციელებას ელოდა... მაგრამ აქ მოხდა ის, რაც ხშირად არის ხოლმე ასეთ პოლიტიკაში, რომელიც დამყარებულია ხერხიანობასა და გაქნილობაზე და არა პრინციპებსა და სამართალზე. ვიღაცები გაჯიუტდნენ, მეჰქნეს ყვირილი, რომ მთავრობა ძალიან შორს წავიდა და ერთბაშად ყველაფერი დაინგრა.

ულსტერის ორანჟისტებმა (ულსტერი ირლანდიის ჩრდილოეთი ნაწილია, სადაც პროტესტანტი ინგლისელები სცხოვრობენ), რომელნიც კონსერვატორებზე კონსერვატორები იყვნენ მუდამ, სამშობლოს ღალატზე დაიწყეს ლაპარაკი. როგორ? კათოლიკე ირლანდიისათვის ადამიანური მმართველობა უნდა შემოიღონ? ეს ხომ ღალატია! იმპერიის დანგრევაო, ჰყვიროდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის ნამდვილი შვილები. ამათ ყვირილს ყური ათხოვეს ინგლისშიც „თავის სამშობლოს პატრიოტებმა“. უკმაყოფილება მთელი კონსერვატიზმის მთავარ სიმაგრეებს... ბალფურმა უკან დაიხია; რეფორმებს ბოლო მოეღო; კონსერვატიულ სამინისტროს გემი იღუპებოდა და უინდჰემი და მაკდონელი შესწირეს მსხვერპლად ტალღებს—გემიდან გადაისროლეს. კონსერვატორების უკმაყოფილება იმდენად ძლიერი იყო, რომ იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ირლანდიელ დეპუტა-

ხის გული რომ მოიგო მარქაროვმა, გამოუცხადა: „ერთობას“ გაუმარჯოს! მე ტფილისიდან ჩამოვსულვარ „კომიტეტის“ ბრძანებით, რომ „ერთობა“ გიქადაგოთ! ცოლშვილისათვის თავი მიმინებებია. მთავრობა მდევნის; რომ დამიჭიროს, დამახრჩობს. ცოლ-შვილი უპატრონოდ დამრჩება. ამიტომ კომლზე ხუთ-ხუთი მანეთი გაიწერეთ და შემიკრიბეთო“. ხალხმაც, რაც შეიძლო, შეუკრიბა. ბატონმა მარქაროვმა ჯიბეში ფული ჩაიდო, ტფილისში კარგად გამოეწყო, იქეიფა და ისევ ავიდა კასპში. შეკრებილს ხალხს უთხრა: „ძმებო! საკასპო ტყეები ხომ გაჰკაფეთ, ახლა ქალაში უნდა ახვიდეთ იქაურ ტყეების გასაკაფავადაო. კასპელებმა გადასწყვიტეს ურმებით წასვლა ქალაში. ქალელებმა ეს რომ შეიტყეს, შემოუთვალეს: აქაური ტყეები ჩვენთვის გვინდაო. თუ ამოსულხართ, ძმის სისხლი დაიღვრებაო.

20 მარტს მარქაროვი ქალაში ამოვიდა და ხალხს კომლზე ორ-ორი აბაზი მოსთხოვა „კომიტეტისათვის“ თან ისიც გამოუცხადა: კაი-კაი ბიჭები აირჩიეთ, ტფილისში უნდა ჩავიყვანოვო. კრებას ადგილობრივის სკოლის მასწავლებელი ქარციაძეც დაესწრო და ხალხს უთხრა: ეს კაცი თქვენი მტერია, უნდა გადაკიდოთ და არ ენდოთო. ამის გაგონებაზე მარქაროვმა ხალხს უთხრა: ესაა, თქვენი მოღალატე და მოჰკალითო. გამოეკიდნენ ოსები და, ცოტას გასწყდა, ხანჯლით აჰკაფეს უდანაშაულო კაცი. მარქაროვის მსგავსი „ორატორი“ გაჩენილა ზემო-ქართლშიაც. სოფელ ნაზახტევში (გორის მაზრა) ჩასულა და ხალხისათვის გამოუცხადებია, ადგილობრივის მესაკუთრის კიკნაძის მამულები უნდა გაგიყოთო. წაიყვანა, ყველას მიუზომია მიწა, მიჯნები ჩაუყარა და ბოლოს გამოუცხადებია: ახლა ტფილისში ჩავალ, „კომიტეტს“ დავამტკიცებინებ თქვენის ახალ მამულების საბუთებსაო. ამას ხარჯი, ღერბის მარკები სჭირია და ფული გაიღეთო. იმათაც გაიღეს ზოგმა ორი აბაზი, ზოგმა ათი შაური და სხ. ისიც თავისუფლად წაბრძანდა „კომიტეტთან“ და გლეხები კი თავიანთის საბუთებს ელიან... ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ გლეხებმა მამულების გაყოფის შემდეგ ბეღლებიდან პური გამოიტანეს და გაიყვეს.

მესამე მარქაროვი სურამში ყოფილა. იქაც აუკრეფია ფული, და ამ აკრეფაში ეხმარებოდა ერთი ვაჭარი.

ახალი ამბავი

◆ „რუს. ვედ.“ და „ბირ. ვედ.“ შემდეგ **საყურადღებო ამბავს გადმოგვცემენ:** „კავკასიაში ნამესტნიკობის დამყარების შემდეგ გადაკეთებულ იქნება მთავარ-მართებლის საბჭო. ამასთან გაფართოვებულ იქნება საბჭოს კომპეტენცია და მომატება წევრთა რიცხვი. გადაკეთებულ იქნებიან აგრეთვე სამაზრო საპოლიციო გამგეობანი, რომელნიც კავკასიის ნამდვილ იარას შეადგენენ“.

◆ ამ დღეებში მოხდა ტფილისელ **დურგლების, ქარგლებისა და მათ შეგირდების ყრილობა.** დაესწრო 200-მდე კაცი. მოილაპარაკეს თავიანთ საჭიროების შესახებ. დურგლებმა გამოსთქვეს სურვილი, სრულიად გაუქმებულ იქნას ხელოსანთა გამგეობა. ეს დაწესებულება ფულს ბევრს გვაწერს და გვახდევინებს და სიკეთეს-კი ვერა ვხედავთო. ბოლოს ყრილობამ დაადგინა: 1. ნება არ მიეცეთ ავეჯეულობის (მებელის) დამზადებელთ იარმუკაში გაიტანონ თავიანთი ნაწარმოები. დურგლებს ამით უნდათ მოსპონ ზოგიერთ ხელოსანთა მიერ ცუდ ნივთების მზადება და გასაღება; 2. ნება არ მიეცეთ აგრეთვე ხელოსნებს, თავიანთი ნაწარმოები მაღაზიის პატრონებს მიჰყიდონ, რადგან ეს უკანასკნელნი სარგებლობენ მათ ხელმოკლეობით და სულ მუქთად იგდებენ ხელში ნაწარმოებს; 3. დაარსდეს საზოგადო ამბარი, სადაც გამოფენილი იქნება ფას დადებული მებელი; 4. მხოლოდ იმ ქარგლებს მიეცემათ ნება სახელოსნოების გახსნისა, რომელნიც სამ წელიწადს მაინც იმუშავებენ სახელოსნოებში; 5. შეგირდები სახელოსნოებში უნდა მიღებულ იქმნენ არა ნაკლებ 16 წლისა, და სხვა. ზოგიერთ საგნის შესახებ დურგლები საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ და კრება გადაიდო 27 მარტისთვის.

◆ როგორც ალექსანდრეპოლიდან გვატყობინებენ, 21 მარტს ლიანდაგის მე-14 და 15 ნაწილის **მუშები სამუშაოდ არ გავიდნენ** და განუცხადეს ინჟინრებს, თუ სამუშაო დღე ისეთი იქნება, როგორიც ამიერ-კავკასის მთავარ სახელოსნოებშია, წავალთ სამუშაოდ, თუ არა და არაო. ამ მუშებმა აიძულეს, რომ დეპოშიაც მუშაობა შეეწყვიტათ. შეაწყვეტინეს მუშაობა ვაგონების გადამბმელებს, მეისრეებს და მატარებლების შემდგენელთ.

◆ როგორც კარაკლისიდან გვატყობინებენ, 20 მარტს, ლიანდაგის მე-13 ნაწილის **მუშებმა მუშაობას თავი გაანებეს.** სცემეს უფროს მუშებს და ხელი აალებინეს ლიანდაგის დარაჯებს და გზის ოსტატებს. ყველა კარაკლისისკენ მიდის. სადგურ სადახლოსთან ტელეგრაფის მართულები გადასჭრეს. საზოგადოდ, სანაინს, კარაკლის და სადახლოს შუა ძრიელ ღელავენ მუშები.

◆ განჯიდან გვატყობინებენ, რომ 20 მარტს, სადილს შემდეგ, **მუშებმა მიანებეს თავი მუშაობასაო.** ერთი ნაწილი მუშებისა სახლისაკენ გაემართა, მეორე ნაწილი წავიდა სასაფლაოზე, სადაც შეკრებილიყო ხალხი და გიმნაზიელები. 21 მარტსვე ყველა სამუშაოდ გამოვიდა.

◆ 21 მარტს ჯულფის გზაზე სად. ულუხანლის-კამარლოს-ჯულფის **მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს.** თხოულობენ დღიურ ფასის მომატების და სამუშაო დროს დაკლებას.

◆ „ივერიის“ სიტყვით, ტფილისის გუბერნატორს მისვლია რამდენიმე **მღვდლისაგან საჩივარი გლეხებზე** და სთხოვენ, დაგვეხმარეთ დრამის აკრებაშიო. ამის გამოისობით გუბერნატორი სთხოვს ექსარხოსს—შემატყობინეთ, როდის დაწესდა ეს გადასახადები მღვდლის სასარგებლოდ, ან ერთი კოდია თუ ორიო. ამაზე ექსარხოსის კანცელარიამ აუწყა გუბერნატორს, რომ მღვდლების მოთხოვნილება **ერთი კოდი დრამის შესახებ უკანონოაო,** რადგანაც 1818 წ. გამოცემულ ცირკულიარში არაფერი არ არის ნათქვამი გადასახადების რაოდენობაზე. ცირკულიარი ამბობს, **გლეხმა იმდენი უნდა გადაიხადოს, რამდენიც შეუძლიანო.**

◆ მორაპნიდან გვწერენ, რომ 21 მარტს შეშის საწყობთან **ექვსჯერ ესროლეს რევოლვერი** და მძიმედ დასჭრეს რკინის გზის დეპოს უფროსის თანაშემწე ვიაჩესლავ ბლოკი. მსროლელნი დაიმალნენ.

◆ გუშინ, 22 მარტს, დილის 10½ საათზე, **თამამშევის ქარვასლის ნოქრებმა** თავი დაანებეს „ხაზეინების“ დუქნებს და კარში გავიდნენ. ნოქარნი შემდეგს თხოულობენ: 1. 8 საათის სამუშაო დღეს (დილის 8—12-მდე და 2-დან—6-ამდე; 2. საქონლის გაყიდვას წინდაწინ აღნიშნულ ფასებად (შეუვაჭრებლად); 3. მოისპოს მუშტრების დაძახება; 4. ავადმყოფობის დროს სრული ჯამაგირი ეძლეოდეთ სამის თვის განმავლობაში; 5. ექიმი და წამალი ნოქართა და მათ ოჯახთათვის მუქთად; 6 წელიწადში 1 თვით სამსახურიდან განთავისუფლება ჯამაგირის შენახვით; 7. ნოქრების მიღებ დათხოვნა ხდებოდეს თვითონ ნოქრებისაგან; 8. ჯამაგირების მომატება აუცილებლად ხდებოდეს წელიწადში ერთხელ მაინც. 9. მოისპოს პროცენტები; 10. ჯამაგირის მიცემა თვის შუა რიცხვებში; 11. „ხაზეინებმა“ ნოქარს დათხოვნა 1 თვით ადრე გამოუცხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალეა გადაუხადოს 1 თვის ჯამაგირი; 12. სადილი ფულად მიეცეს. 13. სიტყვის, კრების, ბეჭდვის, გაფიცვის, კავშირების და სინიდისის თავისუფლება, პიროვნების და ბინის ხელუხლებლობა.

◆ რადგან ბაქოში ერთი კაცი გახდა ავად და ფიქრობენ, რომ იგი **ხოლერიანი უნდა იყოსო,** დღეს 23 მარტისთვის, დანიშნულია სხდომა ტფილისის სასანიტარო კომისიისა. კომისიამ უნდა შეიმუშაოს საჭირო ზომები ხოლერასთან საბრძოლველად.

◆ როგორც გორიდან გვატყობინებენ, 21 მარტს **ქუთაისისკენ წავიდა** ორასი ჯარის კაცი. ეს ჯარი ზოგიერთ სადგურში დაბანაკდება.

◆ როგორც **ჭიათურიდან გვატყობინებენ,** ვიღაცას დაუწვავს მარგანეცის ასაწონი დიდი სასწორი.

◆ გუშინ, 22 მარტს, სასინოდო კანტორის მხრივ არჩეულმა კომისიამ არქიტექტორის თანადასწრებით დაათვალიერა ის ადგილი ფომინის ქუჩაზე, სადაც უნდა აშენდეს სასინოდო კანტორის მოსამსახურეთათვის ახალი სადგომი.

◆ რედაქციას მოუვიდა ფრანგული წიგნაკი თ. სახოკიასი „Objets éthnographigues de la géorgie“. ეს წიგნაკი წარმოგვიდგენს მოხსენებას, რომელიც ბ-ნს სახოკიას წაუკითხავს პარიზის სანტროპოლოგიო საზოგადოების კრებაზე ჩვენებურ საეტნოგრაფიო ნივთების გამო და რომელიც მერე დაიბეჭდა ამავე საზოგადოების ორგანოში. წიგნაკს ჩართული აქვს ამ ნივთების სურათებიც.

◆ ბატონი ალიოშ შახინოვი გვთხოვს დავბეჭდოთ: გორში ბ-ნ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით გავმართე ქართული წარმოდგენები. შემოსავალი გახლდათ 252 მან. ამ ფულიდან თვითონ ბ-ნ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილს გავძლიე 132 მან., წარმოდგენების გამართვაზე დავხარჯე 70 მან. (სახლის ქირა 20 მ., სკამების და სხვა ავეჯეულობა 35 მან., მარკები 4 მან., სცენის დადგმა 6 მან. და სხვა წვრილი ხარჯები 15 მან,). დანარჩენი 50 მან. დღეს გადავეცი ქალაქის თავს სახალხო სახლის ფონდად. ამ ფონდის გასაძლიერებლად მე, როგორც ინიციატორი, ჩემი მხრივ დავუმატე კიდევ 50 მან. სულ გადავეცი 100 მან.

◆ ტფილისის გუბერნატორმა გუშინ, 22 მარტს სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის თითო თუმნით დააჯარიმა: პირველ უბანში: კ. მ. მიტროფანოვისა, სასტუმრო „მეტროპოლის“ პატრონი ე. ბ. ჯენიშკიანი, მე-9 უბანში: ჩაპლიცი, ი. ყორღანოვი, მე-10 უბანში: ა. ინოსარიძე, ლაზარევი, აივაზოვი, გ. თუმაევი, რ. მარტინოვისა, „ნადეჟდას“ სასტუმროს პატრონი მ. ხუნდაძე, ვ. გოზალოვი და ტ. საჩკოვი. ხუთ-ხუთ მანეთით, მე-7 უბანში ზ. ჩიქოვანი, ა. ახნაზაროვი, პ. მ. ხაჩატუროვი, ს. მარტიროზოვისა და კ. ვართანოვისა, სატრაქტირო სახლის პატრონი დარჩო არუთინოვი და ნ. ბაისაგოლოვი.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის სამკურნალოებში მომუშავე ბებია ქალებმა განცხადება წარუდგინეს ქალაქის მოურავს და სთხოვეს შუამდგომლობა, რომ მათ ჯამაგირები დაენიშნოთ. ქალაქის მოურავმა აღუთქვათ დახმარება.

◆ სად. ძეგამი. 19 მარტს, ღამის 11 საათზე, მე-430 ვერსტზე, სახალხო მატარებელი № 4 წააწყდა ლიანდაგზე დაწყობილ რელსებს. ორთქლმავალი დაშავდა. ხალხს უბედურება არა მოსვლია. ამ საქმის გამო შეიპყრეს ლიანდაგის ერთი დარაჯი და ორიც ღამის ყარაული.

◆ სად. სუფსა. 21 მარტს, დილის 5 საათ., მე-53 ვერსტზე, ყაზარმაში ვიღაცეებმა ბერდანკით დასჭრეს თავსა და მხარში უფროსი მუშა პეტრაშკა, წაართვეს სახელმწიფო რევოლვერი და საკუთარი თოფი.

◆ სად. ახალ-სენაკი. 20 მარტს, საღამოს 8 საათზე, ყარაულმა ფეხში დასჭრა გადავარდნილი სალაყაია. დაჭრილს დახმარება აღმოუჩინეს და სენაკის საპყრობილეში გაგზავნეს.

◆ სად. გორი. 19 მარტს, საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე, როდესაც მატარებელი № 159 მიდიოდა, ვიღაცამ ესროლა ქვა მეისრე ზაქარია ნონიაშვილს და თავი გაუტეხა.

◆ ტფილისის მეხაშეებმა ამას წინად ერთმანეთში მოილაპარაკეს და დაადგინეს თავიანთ საჭიროების გამორკვევა და მდგომარეობის გაუმჯობესება.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება დანიშნულია ხვალ, 24 მარტისათვის.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

თელავი, 22 მარტი. დღეს საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს სასწავლებლის მთავრობას. შემდეგ სიმღერით გაემართნენ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლისაკენ; შევიდნენ სასოფლო სასწავლებელში. აქაც წარადგინეს მოთხოვნილებანი და ყველანი ერთად გაემართნენ სამრევლო-საეკლესიო სკოლისაკენ. მოსწავლეებს დიდძალი ხალხი მისდევდა. შემოუარეს ბაზარს. ბევრი სიტყვა წარმოითქვა. გაიფიცნენ აქაური ქარგლები.

ტფილისის ქალაქის საქმეები

21 მარტი.

ამ დღესაც დიდძალი ხალხი შეიკრიბა. უმრავლესობას ავლაბრის მკვიდრნი შეადგენდნენ. ბევრნი ნავთლუღიდანაც იყვნენ. საბჭოს დარბაზის წინ, ველიამინოვის ქუჩაზე 20 მეტი ლინეიკა იდგა დამტვრიანებული; გეგონებოდათ, პატრონებს დღეს ასი ვერსი მაინც გამოუვლიათო. ეს ლინეიკები ნავთლუხელ-ავლაბრელებისა იყო. ამ დღეს ავლაბარში განზრახულ ელექტრონის ტრამვაის შესახებ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი და ავლაბარ-ნავთლუხელნიც იმიტომ შეიკრიბნენ. ბევრ ხმოსანს არ ეპაშნიაკა ამოდენა ხალხის შეკრება. ზოგი „უჰ, უჰ“-ს, იძახდა და ამბობდა, რა ღვინოს სუნია, რა ტყავისა და ცხვრის ქონის სუნი სდისო და სხვა. ერთმა ახალგაზდა ხმოსანმა გადაამლაშა კიდეც. სულ „ბეზობრაზიე, ბეზობრაზიეო“, იძახდა სხდომის დროს. ამ განათლებულმა ვაჟბატონმა აღშფოთებულის კილოთი მოითხოვა, გარეკეთ დარბაზიდან ხალხი, თორემ ჩვენ, ყველა ხმოსნები, თავს დავანებებთ და გავალთო...

როგორც თავის დროზედ აღნიშნული გვქონდა, ამას წინად ავლაბრელებმა პეტიცია წარუდგინეს ქალაქს, ჩვენც გადასახადებს ვიხდით და მოგვხედეთ, აბუჩად ნუ გვიგდებთო. არა გვაქვს სკოლები, ქუჩები მოუკირწლავია, დაშორებულნი ვართ ქალაქზე და სხვა და სხვაო. ამ საღამოს საბჭო შეეხო ავლაბრისაკენ განზრახულ ტრამვაის მიმართულების შეცვლას და მუხრანის ხიდის გაკეთებას. ხელშეკრულებით, უსახელო საზოგადოებას გზა უნდა წაეყვანა სირაჯხანის აღმართისაკენ. ავლაბრელებმა ითხოვეს, უკეთესია გზა ციციანოვის აღმართზე ამოიყვანოთო, რადგან როცა მუხრანის ხიდი გაკეთდება, უფრო დაუახლოვდებით ქალაქის შუაგულსაო. ეს შუამდგომლობა განუხილავს ქალაქის გამგეობისა, ხმოსან-ტეხნიკოსებისა და ქალაქის ადგილების გამგე და საფინანსო კომისიების შეერთებულ კრებას და გადაუწყვეტია: 1. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ ლიანდაგმა ციციანოვის აღმართზე გაიაროს; 2. შეუდგნენ ეხლავე მუხრანის ხიდის კეთებას და აგრეთვე მტკვრის ნაპირების აშენებას; 3. ნება მიეცეს უსახელო საზოგადოებას, გადაიყვანოს ავლაბრის შტო ციციანოვის აღმართით. ეს გზა უნდა მუხრანის ხიდითა და მუხრანის ქუჩით შეუერთდეს ერევნის მოედნისაკენ მიმავალ გზას იარმუკაში. მუხრანსკის ხიდით სარგებლობისათვის საზოგადოებას იმდენი გადახდება, რამდენსაც იხდის [illegible] ხიდზე მოძრაობისათვის. ავლაბრის მოედნამდე ვერის მოედნიდან ვალის ფასად დაიდება 5 კაპ., ხოლო რიყემდე—3 კაპ. 4. მუხრანის ხიდის გასაკეთებლად და მტკვრის ნაპირის გასაკეთებლად გამოსცეს ქალაქმა სესხი 400,000 მანეთისა; 5. ვიდრე ქალაქი სესხს აიღებდეს, მოიხმაროს ქალაქმა ის 400,000 მანეთი, რომელსაც უსახელო საზოგადოება, ხელშეკრულობით აძლევს ქალაქს შუაბაზარში ადგილების შესაძენად; 6. მოეთხოვოს უსახელო საზოგადოებას ეხლავე შეიტანოს ქალაქის კასაში 400,000 მანეთი; 7. დაევალოს უსახელო საზოგადოებას ციციანოვის აღმართზე ადგილების შეძენა და კლდის გამაგრება და 8) თუ ვინიცობაა ქალაქმა უარი ჰყო შუა ბაზრისკენ ტრამვაის გაყვანა, უსახელო საზოგადოების მიერ ქალაქის კასაში წარმოდგენილი 400,000 მან. ქალაქის საკუთრებად იქნება ჩათვლილი.

ამ საქმემ საბჭოში გაუთავებელი კამათი გამოიწვია, თუმცა პრინციპიალურად ავლაბრელთა კანონიერ მოთხოვნილებას წინააღმდეგ არავინ იყო. მხოლოდ ორმა კაცმა სთქვა, 400,000 მანეთს, შუაბაზრის ქუჩისათვის გადადებულს, ნუ დავხარჯავთ მუხრანის ხიდის გასაკეთებლად, ვიდრე სესხის აღების ნება არ მოგვსვლიაო. დასასრულ, საბჭომ უმნიშვნელო ცვლილებით მიიღო ზემოდ აღნიშნული დადგენილება.

მეპურეებს ამას წინად ქალაქის საბჭომ უარი უთხრა პურის ნიხრის მომატებაზე. ამ საღამოს ნიხრის გამწესებელმა კომისიამ სთხოვა საბჭოს მოუმატოს ფურნის პურს, რადგან მეპურნეები დაჰპირდნენ ორ წყება მუშებს ვიყოლიებთო, ქეთორნეებმა კი უარი განაცხადეს. საბჭომ კი პირველსა და მეორე ხარისხის პურს, კომისიის შუამდგომლობისამებრ, ½ კაპ. მოუმატა.

დასასრულ მაჰმადიანთა მხრივ პეტერბურგში გასაგზავნ დეპუტატად, ვექილოვის ნაცვლად, საბჭომ აარჩია მიზა-ყული-ბეკ ალალაროვი.

რუსეთის ქრონიკა

პეტერბურგის სამღვდელოება ჩაბმულა საერთო მოძრაობის ფერხულში: სამღვდელოების ერთ ჯგუფს შეუდგენია პეტიცია და თხოულობს, რომ რაც შეიძლება ჩქარა განხორციელდეს 18 თებერვლის რესკრიპტში დაპირებული რეფორმებიო.

რუსეთის ფინანსები. „რუსკია ვედომოსტი“-ს 73 ნომერში მოთავსებულია სპეციალისტ-ფინანსისტის აზრი რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობაზედ: „რუსეთის ფინანსთა მინისტრის სიტყვით, რუსეთის სახელმწიფო ვალი უდრის 750 მილიონ გირვანქა სტერლინგს (შვიდ. მილიარდ ნახევარი მანეთი). რუსეთს არ შეუძლია გადაიხადოს ეს ვალი. მაგრამ არც არავის მოსვლია აზრად გაზომოს რუსეთის შეძლება ამ საზომით. აქ მხოლოდ ერთია საკითხავი, შეუძლია თუ არა რუსეთს ვალის სარგებელი გადაიხადოს. ინგლისლებსაც შეიძლება უთხრან — თქვენი სახელმწიფო ვალი დიდია და არც იხდით ამ ვალსო. მაგრამ არსებითი განსხვავება აქ ის არის, რომ ბრიტანიის სახელმწიფო ვალის თამასუქები ისევ ინგლისელების ხელშია, რუსეთს-კი უცხოელების ვალი მართებს. ინგლისის მთავრობას ნასესხები აქვს ფული თავისსავე ხალხისაგან (მაშასადამე სარგებელიც ხალხის ჯიბეში მიდის), რუსის მთავრობას-კი უცხოელებისაგან. უცხოელებისავე ხელშია სხვა-და-სხვა აქციები, რომელნიც მეტ-წილად მთავრობისაგან არიან უზრუნველყოფილი და მაშასადამე იგივე სახელმწიფო ვალია. მთელი სახელმწიფო ვალი რუსეთისა შვიდ მილიარდ ნახევარზე მეტია: მარტო სარგებელს რუსეთი იხდის 320 მილიონზე მეტს... ამბობენ, რუსეთი ყოველთვის იხდიდა კუპონების ღირებულებასაო. მართალია, მაგრამ საიდან იხდიდა? სახელმწიფო შემოსავლიდან? რუსეთი ყოველთვის იხდიდა სარგებელს, მაგრამ ამ სარგებლის გადახდისთვისაც ახალ ვალებს იღებდა. ეხლა საყურადღებო ის კი არ არის,

---

ტების დახმარებაზე. ირლანდიის რეფორმის საქმე ისევ გადაიდო. პროგრესსიის და სამართლიანობის მეგობრები აღშფოთებული არიან, ირლანდიის მამულისშვილნი გულ-გატეხილი, ამათი დეპუტატები კიდევ უფრო... გამოტეხილი უნდა სთქვან ირლანდიელებმა, რომ კონსერვატორებმა კარგად ისარგებლეს მათ დეპუტატების დახმარებით და ბოლოს შმრალზე დასვეს.

როცა სამინისტრომ განიზრახა გაძლიერება სასულიერო წოდების გავლენა სახალხო განათლებაზე, ირლანდიელებს ფერება დაუწყო. ირლანდიელი დეპუტატები იმ დღიდან დაწყებული, რაც გლადსტონმა ჰომრულის კანონ-პროექტი შეიტანა პარლამენტში, სულ ლიბერალების მხარეზე იყვნენ. ეხლა კი კონსერვატიული სამინისტრო დაჰპირდა მათ ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმასა და მეტ თავისუფლებას ირლანდიის კათოლიკე სამღვდელოებისათვის და, რადგან ირლანდიელები უფრო კათოლიკენი არიან, ვიდრე პატრიოტები, მხარი მისცეს ბალფურის რეაქციონურ სასკოლო კანონ-პროექტს თავის ერთგულ მოკავშირე ლიბერალურ ოპოზიციის წინააღმდეგ, რომ გაძლიერებიათ კათოლიკე სამღვდელოების გავლენა ხალხის განათლებაზე. რეაქციის ასეთის მომხრობით ირლანდიელმა დეპუტატებმა ერთობ გააჯავრეს ბევრი კეთილშობილი მეგობარი ირლანდიისა, განსაკუთრებით რაციონალურ პროტესტანტ სექტების რადიკალებ შორის. ბოლოს კონსერვატორებმაც უღალატეს; ირლანდიელებს კი ეგონათ, რომ ირლანდიის მტერ კონსერვატორებთან შეთანხმებით მიაღწევდნენ სანატრელ თავისუფლებას ეროვნულ თვითმმართველობაში. რამდენად შემცდარი იყო მათი ანგარიში, დღეს ყველასათვის ცხადია. შორს გამჭვრეტი ხალხი მიმხვდარი იყო ამას იმ თავითვე, როცა კონსერვატორებმა ფერება დაუწყეს ირლანდიელებს. ავტონომიის, თვითმმართველობის და ეროვნულ ცხოვრების თავისუფლების შოვნა შეიძლება, თუ პრინციპებს არ ღალატობ და მზად ხარ იბრძოლო მათთვის. ირლანდია ბევრჯელ აჯანყებულა; თავდავიწყებამდე ფიცხსა და მამაც ხალხს არა ერთხელ დაუღვრია სისხლი ეროვნულ განთავისუფლებისათვის. და ამის შემდეგ განა საკვირველი არ არის, რომ ირლანდიის საქმე, მისი ბრძოლა თავის დღეში არ იწვევდა ევროპის პროგრესიულ დემოკრატიის მხრივ ისეთ ღრმა, მხურვალე თანაგრძნობას, როგორც, მაგალითად, ჰუნგრეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების ბრძოლა განახლებისათვის? ერთ-ერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ აქ ვერ ვხედავთ ვრცელ პროგრესიულ ეროვნულ პროგრამას; სამაგიეროთ, ვხედავთ კათოლიკე სასულიერო წოდების ბატონობას და კათოლიკურ უნდობლობას თანამედროვე მეცნიერებისადმი... შეუძლებელია, რომ განახლების და პროგრესსის საქმე დამყარებული იქნეს ძველ, რეტროგრადულ ეროვნულ ცრუმორწმუნეობაზე. მხოლოდ იმ ერს თანაუგრძნობს კაცობრიობა, რომელიც თავის უფლებათა დაცვასთან ერთად თავის ეროვნულ საქმეს აკავშირებს კაცობრიობის მოწინავე და პროგრესიულ ნაწილის ინტერესებთანა და იდეალებთან..

ეხლა ხან ხელში ჩამივარდა შოტლანდელ მწერლის ჩარლზ ვადდის პატარა წიგნაკი—„როგორ დაჰკარგა შოტლანდიამ თავის პარლამენტი“. საგულისხმიერო და ჭკვის მასწავლებელი წიგნაკია. შოტლანდია თავისუფალი მხარეა, იქ სდუღს და გადმოდუღს გონებრივი, მრეწველური და სამეურნეო მოქმედება—შოტლანდელები განთქმული ფერმერები არიან—და ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს შოტლანდია უჩივის თავის ბედს და სწუხს ინგლისთან ნებაყოფლობით შეერთების გამო? არც ეკკლესია, არც ენა არ წაურთმევით მისთვის; იქ არ არის არც ცენზურა, არც პოლიციური და ადმინისტრატიული თვითნებობა; 4 მილიონი შოტლანდელი გზავნის პარლამენტში 72 დეპუტატს (პარლამენტში სულ 670 წევრია)... და მაინც წინააღმდეგი არიან ინგლისთან შეერთებისა, თხოულობენ ავტონომიას, ეროვნულ პარლამენტს, ეროვნულ თვით-მმართველობას. ნუ გწყინებათ ცენტრალიზმის გერმანულ ფილისტერულ სკოლის პოლიტიკანებსა და ავტონომიური, ფედერალისტური პრინციპი იწვევს გაბატონებას განათლებულ ხალხებ შორის. გერმანელი რადიკალები, რომელნიც აღტაცებულნი საფრანგეთის პოლიტიკურ ლიტერატურის ზედ-გავლენით, ჩვეულებრივ საბუთად საფრანგეთის ცენტრალისტურ რესპუბლიკაზე გვითითებენ და მოჰყავთ დიდ რევოლიუციის ფორმულა—„ერთი და განუყოფელი რესპუბლიკა“. მაგრამ ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ეს ფორმულა შიიდეს დევიზად, როცა საფრანგეთის წინააღმდეგ იყო აღჭურვილი კოალიცია მთელ მონარქიულ ევროპისა, როცა ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს ტულონი, როცა ვანდეის ხალხი ინგლისელების დახმარებით აჯანყებულ რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაშინ ეს ფორმულა ნიშნავდა რესპუბლიკის და მის ტერიტორიის დამოუკიდებლობას და მთლიანობას. ბიუროკრატიის სიყვარულით როდი ემორჩილებოდნენ ცენტრალიზაციას, რომელმაც შემდეგ შეაფერხა საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრება და რომლისგანაც დღეს უნდა განთავისუფლონ საფრანგეთი მოწინავე პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და შორს არ არის ის დღე, როცა საფრანგეთი განთავისუფლდება მოხელეთა ჯარისაგან, რომელიც რამდენიმე ას მილიონს ულაპავს.

მაგრამ შოტლანდიაში არ არის არც მოხელეთა ჯარი, არც ადგილობრივ ინიციატივის შევიწროვება. მიუხედავათ ამისა მაინც ჩივიან. უკმაყოფილების ერთი მიზეზი მოყვანილი აქვს ვადდის, და ეს მიზეზი მართლა პატივსადებია. პარლამენტის დადგენილებით გამოცხადებულია 1902 წლის 3 ივლისს:

„შოტლანდიას შეაქვს თავისი წილი სახელმწიფო გადასახადი—160,550,000 მილიონი მანეთი; მაშასადამე ლონდონში მიდის 109,960,000 მანეთი.

ამ გვარად შოტლანდია ყოველ წელს იხდის „იმპერიის“ საადმინისტრაციო, სამხედრო და სხვა საჭიროებებზე 109 მილიონს! ეს ცოტა არ არის. იტყვიან, რომ სამაგიეროთ შოტლანდიას მოგებული რჩება ინგლისის საერთო სახელმწიფო ცხოვრებაში მონაწილეობითო და ეს მართალიც არის. მაგრამ ნუ თუ ეს „მოგება“ იმდენად დიდია, რომ ყოველ სრულ წლოვანმა მამაკაცმა მისთვის 104 მანეთი დასაზღვევი აძლიოს სახელმწიფოს? მთავარი მოგება ხომ მაღალ კლასებისაა, იმათი, ვისაც დიდი და საპატიო ადგილები უკავია ინგლისის დიპლომატიასა და სახელმწიფო სამსახურში. ხალხს კი აქ რაღა ხვდება? სკოლას, რკინის გზას, ფოსტას, საავადმყოფოს, ადგილობრივ ადმინისტრაციას თვითონ შოტლანდელები ინახვენ და გარდა ამისა 109 მილიონს აძლევენ ინგლისის არისტოკრატიისათვის საპატიო ადგილების შესანახად.

აი, რატომაა, რომ შოტლანდიასა და სხვა პროვინციებში იზრდება სურვილი ჰომრულის შემოღებისა, ფედერალიზმის განხორციელებისა. ყოველი ერი თვითონ განაგებს საკუთარ საქმეებს და ნებაყოფლობით უერთდება ასეთსავე თავისუფალ, სწორ-უფლებიან ერს.

აქეთკენ მიდის კაცობრიობის ევოლიუცია და მას ვერავინ შეაჩერებს დიდის ხნით.

ლონდონელი.

თუ რას შვრებოდა რუსეთი, სანამ ფულს შოულობდა, არამედ ის, თუ რას იზამს რუსეთი, როცა უცხოელები აღარ მისცემენ ფულს. სამწუხაროდ, ძალიან საშიშია, რომ რუსეთი უახალსესხებოდ ვერ გადაიხდის სარგებელს. ერთად-ერთი სარგებლიანი საქმე, რომელზედაც დაიხარჯა ფული, რკინის გზებია; მაგრამ ამ გზებსაც არ მოაქვს შემოსავალი. რუსეთი ის მექარხნეა, რომელიც ხარჯავს ძირითად თანხას. რუსეთს სიმდიდრის დიდი წყაროები აქვს, თითქმის დაუშრეტელი, მაგრამ მოხმარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ახალი წესწყობილება იქნება შემოღებული. ბიუროკრატიამ მოჰკლა ხალხის კერძო ინიციატივა და ისე არივ-დარია სახელმწიფოს ფინანსები, რომ ახალმა წეს-წყობილებამ, საზოგადოებრივ კონტროლზე დამყარებულმა, ბევრი დრო უნდა მოანდომოს მათ გამობრუნებას. თუ დარჩა ძველი წეს-წყობილება, ახლო მომავალში მოსალოდნელია კოლოსალური ფინანსიური გაკოტრება, რომლის მიზეზით საშინლად დაზარალდებიან უცხოელი კრედიტორები“.

საქალაქო სკოლის მასწავლებელნი მოსკოვში შეკრებილან და დაუდგენიათ: 1) საქალაქო სკოლების მასწავლებელნი შეადგენენ კორპორაციას და, როგორც ეგეთი, მოვალეა პასუხი ვასცეს ხალხის ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას; 2) კორპორაცია, როგორც დამყარებული წევრთა თავისუფალ ნებაყოფლობაზე, არავის დამტკიცებას არ საჭიროებს; 3) მასწავლებელთა კორპორაცია საკუთარ ინტერესებს გვერდით უყენებს თვითმმართველობის დაბალ მოსამსახურეთა ინტერესებს; ამათაც უნდა ჰქონდეთ კორპორატიული ორგანიზაცია: 4) კანდიდატების წარდგენა რომელიმე განთავისუფლებულ ადგილზე საქალაქო თვითმმართველობაში უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მოსამსახურეთა კორპორაციას; აგრეთვე რომელიმე მოსამსახურის დათხოვნისათვის უთუოდ საჭირო უნდა იქნეს კორპორაციის თანხმობა.

რუსეთის მარშლები. მოსკოვში შეიკრიბნენ რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურობის მარშლები და თათბირი ჰქონდათ 18 თებერვლის უმაღლესს რესკრიპტის გამო. ამ თათბირის შედეგი მოყვანილია „რუსკოე სლოვო“-ში: მარშლები ყველა დათანხმებულა, რომ არსებული წესწყობილება აღარ ვარგა, მაგრამ არც იმის მომხრე ყოფილან, რასაც რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი თხოულობს: „საზოგადოებრივ მოღვაწეთა შორის არის კარგა დიდი, ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი— მომხრე დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო თეორიებისა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ჯგუფი ეცდება თავისი აზრი გაიყვანოს საზოგადოებრივ კრებებზე და ყოველ ღონეს იღონებს, რომ მომავალ სახელმწიფო რეფორმებს მისცეს ნამდვილი საკონსტიტუციო მიმართულება.

ჩვენის (მარშლების) აზრით, ასეთ მიმართულებას უნდა შევებრძოლოთ; უნდა შევაგნებინოთ საზოგადოებას აუცილებლობა ერთობისა 18 თებერვლის რესკრიპტის ნიადაგზე, იმ რესკრიპტის, რომელიც თხოულობს ჩვენის სამშობლოს განახლებას თვითმპყრობელობის ნიადაგზე ხალხის წარმომადგენლობით...

ხალხის წარმომადგენლობა მეფის თვითმპყრობელობას კი არ უნდა ზღუდავდეს, არა, მან უნდა მოსპოს მოხელეთა თვითნებობა და შეატყობინოს მეფეს ხალხის მომწიფებული საჭიროებანი.

ეს წარმომადგენლობა უნდა შესდგებოდეს არჩეულ პირებისაგან.

გარდა სამინისტროებში შედგენილ კანონ-პროექტების განხილვისა, წარმომადგენლობას უფლება უნდა ჰქონდეს აღძრას საკითხები შესახებ ახალ კანონების გამოცემისა და ან ძველის შეცვლისა.

რომ აღმასრულებელმა ორგანოებმა არ დაამახინჯონ კანონები, რომ უზრუნველყოფილი იყოს სინიდისის, სიტყვისა და პიროვნების თავისუფლება, წარმომადგენლობას უფლება ჰქონდეს შეეკითხოს მინისტრებს, რომელნიც პასუხს აგებენ მეფის წინაშე. მასვე უნდა ჰქონდეს უფლება სახელმწიფო ხარჯ-აღრიცხვის განხილვისა და კონტროლისა, თუ როგორ სრულდება ეს ხარჯთ-აღრიცხვა“.

პატარა ფელეტონი

გაფიცვა

ყველა „გაფიცვაზე შეიშალა“! ყველა „გაფიცვაზე“ ლაპარაკობს, ყველა გაზეთი ამას მოგვითხრობს!

მაგრამ ზოგიერთ გაფიცვის ამბავი სადღაც მიმალულია, არც ერთ გაზეთს არ შეუტყვია და, რასაკვირველია, არ გამოუქვეყნებია...

ჩვენს გაზეთს კი, როგორც მოგეხსენებათ, არა თუ ამისთანა სადაადებელი ამბები, არამედ იდუმალ კუნჭულში მიმალული „ფალშივი ზაპასკებიც“ გამოუკვლეველი არ დარჩება...

და, აი, რა გამოვიკვლიეთ:

მღვდლები გაიძახიან: რადგან „დრამამ“ დრამატიულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო, აღარ გვინდა ეს თქვენი „დრამებიო“!

რუსეთის ყველა „მასწავლებლები“ გაფიცულან, მოსწავლენი ხომ მომავალ სექტემბრამდე სწავლას არ აპირებენ და ჩვენც ჯამაგირებს არ მივიღებთო.

მოსწავლეთ გაუფიცნიათ: თეატრსა, ცირკსა, განსაკუთრებით ქართულ თეატრში ბილეთის ფული არ გვიღოთ, კარები შევგლიჯოთ, ძალით შევიდეთ, სკამები დავჭრათ, კედლები დავფხაჭნოთ და სხვ.-და-სხვ.

ნაძალადევლები გაფიცულან: თუ ჩვენს ნაოფლარს ნებით არ მოგვცემენ, ძალით წავიღოთ, ნაძალადევი შეგვრჩებაო.

„სამეურნეო საზოგადოებას“ დაუფიცნია: საქართველოს თავისუფალ მიწებზე—ქართველებს გარდა, ყველა ხალხს დავასახლებთო!

მუშებს გაუფიცნიათ—დღე-ღამეში 26 საათს ვიმუშავებთო.

„ივერიის“ ახალ რედაქციას გაუფიცნა: ამიერიდან ჩვენს რედაქციაში არც მღვდელი, არც დიაკონი არ შემოვუშვათო!

ნ. ნიკოლაძე: რკინის გზაში არ ჩავჯდები, პეტერბურგში აღარ წავალო!

ნ. ცხვედაძე—სათავად-აზნაურო სკოლის სადგომს, ღვთით, თუ ვიღონე, სამოცდაათ, ოთხმოცი წლის შემდეგ დავამთავრებო.

გლ. მესხიშვილი: კიდევ ჩამოვიყვან ქუთაისის დასს ტფილისში და ათს უფასო წარმოდგენას გავმართავო!

ქართველი არტისტები: ავანსებს თავის დღეში აღარ წავიღებთო!

ქარვასლის ნოქრები: თავაზიანის, ზრდილობიანის, ფაქიზის, ტკბილის ენით დავუხვდებით მეადვილებსო!

ყასბები: საუკეთესო ხორცს გირვანქას ექვს კაპეიკათ გავყიდით და ცხენის ხორცსაც აღარ გავაწყანებთო;

ელექტრონის ტრამვაი: დღეში ათის კაცის მეტს არ დავამახინჯებთ!

ცენზურები გაფიცულან: წითელ მელანს სულ აღარ ვიხმართო!

„ბოლოც მრწამს, ფიციც არ მაკვირვებს“!

გასაკვირველი ეხლანდელ დრო ის იქნება—გულ-ხელ დაკრეფილი იყო!

ყველგან ღაღადის ხმა გაისმა! გულმა ამბოხება დაიწყო, სული თავისუფლად სუნთქვას ნატრობს!

ყველა შეინძრა, ყველაფერი შეირყა! ყველა გარბის, ლაპარაკობს, ჰყვირის, კვნესის, მოქმედობს!

პეტიციები, რეზოლიუციები, ევოლიუციები!

ელვაზე სწრაფი დრო დადგა! ერთს წამში საუკუნოებით გასაკეთებელი კეთდება და ამიტომაც არავითარი ფიცი არ მაკვირვებს!..

კვიმატი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან

21 მარტი.

გუჩჟულინი, 21 მარტი. გუშინ, საღამოს 10 საათზე, მოვიდნენ მუკდენში დარჩენილი ექიმები ლურიე, ბრუნო, შვარცი, მზრუნველი ბელიავინი და კორესპონდენტი მაშკევიჩი. ენა ვერ შეაქებს კაუფმანის საზოგადოების მოწყალების დათა მოქმედებას; ესენი არიან: ორი ლინდფორსი, კუდრიავცევისა და ვერჟბიცკისა და გიორგის საზოგადოების დანი: გვასტუნოვისა და გუჩკოვისა, რომელნიც თავიანთ სურვილისამებრ დარჩნენ მუკდენში დაჭრილების გადმოყვანის დროს. დებს ხელებით გამოჰყავდათ დაჭრილი იაპონელები და რუსები, როცა ჩინელებმა ბარაკებს ცეცხლი წაუკიდეს, აფეთქებდენ პატრონების საწყობებს და იაპონელთ ყუმბარებს. ამათთან ერთად მოვიდნენ წითელის ჯვრის რწმუნებული ბიჩკოვი და ექიმები გუცვანგაუპტი, კალაშნიკოვი, ხრისტიანოვი და ურბანოვიჩი. მოსულების სიტყვით იაპონელები ფრთხილად შედიოდნენ მუკდენში და დიდხანს ებრძოდნენ ქალაქის ქუჩებში ჩასაფრებულ რუსების უკანა ჯარებს. იაპონელთ ქარავანი დიდი ხნის შემდეგ მისულან. ქარავანს ჩინელები ემსახურებიან იაპონელთ ყურის მგდებელთ ხელ-ქვეწანელობით. იაპონელთ ქარავანში მოსამსახურე სალდათები საომრად გაიყვანეს. ჩინელები სანიტარებად არიან და დაჭრილები გადაჰყავთ. ექიმებს ჩვენება 4 წარმომადგენელმა ჩამოართვას—შტაბისამ, ლაშქრისამ, საექიმო და საინტენდანტოსამ. ოიამა მუკდენის—ცზენცზუნთან და ოკუ მანჯურიის სამლოცველოში მოთავსდენ. იაპონელები მუკდენის ბრძოლას გენერალურ ბრძოლას ეძახიან. იგინი სურვილს აცხადებენ ზავზედა და დიდ კონტრიბუციაზე. მუკდენიდან ჩრდილოეთით გზა სულ გაფუჭებულია და ხიდეები დანგრეული. განსაკუთრებით ხუნხეს ხიდია გაფუჭებული.

ლონდონი, 21 მარტი („რეიტ.“). დეპუტატთა პალატაში ლორდ ჩერჩელმა პროტესტი განაცხადა სამხედრო ბიუჯეტის წინააღმდეგ და სთქვა, რომ ინდოეთის შესახებ აღარ გვმართებს იმდენი შიშიო. ედვარდ გრეიმ სთქვა, რუსეთ-იაპონიის ომი დიდი ხნით გამოაცლის ინდოეთს რუსის პოლიტიკის სფერასო. თუ ინგლისი გააფართოვებს საზღვრებს და დაუახლოვდება რუსეთს აზიის უფრო შორს პუნქტში, იმ შემთხვევაში გაიზრდება სამხედრო ხარჯი, მაგრამ თუ ინგლისი თავის დაცვის პოლიტიკას ეწევა, მაშინ მდგომარეობა შეუცვლელად დარჩებაო. სამხედრო მინისტრმა ფორსტერმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთზე გავლენა შესუსტდა დიდ ბრიტანიისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სისუსტე მუდმივი იქნებაო; ფორსტერი თანახმაა იმისი, რომ კეთილ გონიერება მოითხოვს ცოტათი შესუსტდეს ინგლისის წინანდელი მისწრაფებაო. მას არ სურს, რომ პალატამ ბჭობა იქონიოს ინდოეთის საზღვრის შესახებ. თუ ომი დაიწყო, ინდოეთში იმდენი ჯარი იქნება საჭირო, რამდენიც სამხრეთ აფრიკაში დაგვჭირდა. დილკმა ფორსტერს პასუხი გასცა და სთქვა, შეუძლებლად მიმაჩნია, რომ რუსეთმა ავღანისტანის გზით დაეცეს ინდოეთსო. ევანს გორდონმა სთქვა, ინდოეთში შეჭრა რუსეთის მხრივ მარტოოდენ წარმოდგენაში არ არსებობს; რუსეთი მანჯურიაში უფრო ძნელ საქმეს აკეთებს, ვინემ ინდოეთში შემოჭრააო. ამ საქმის შესახებ კამათი შემდეგისთვის გადაიდო.

ჯიბუტი, 21 მარტი. ნებოგატოვის ესკადრამ, რომელიც 6 სამხედრო და ერთ საგოსპიტლო გემიდან შესდგება, ჯიბუტთან ღუზა გადააგდო. (ჰავასი).

ბერლინი, 21 მარტი. ლონდონიდან „ლოკ. ანცეიგ“-ერს ტელეგრაფით ატყობინებენ, გერმანიის იმპერატორის ტანჟერში წასვლამ ინგლისის ყველა პარტიებს მიდრეკილება გაუღვიძა საფრანგეთთან შეერთებაზე.

პორტ-მაჰონი. ვილჰელმი შუადღის 4 ს. და 40 წ. წავიდა აქედან.

პარიზი, 21 მარტი. (ჰავასი). ვანსელმა განაცხადა, ეკლესიის გამოცალკევების პროექტი საფრანგეთში არეულობას გამოიწვევსო. რიბოს აზრით, ჯერ მცხოვრებლებს უნდა შეეკითხვა. რეფორმა უაზროა, რადგანაც მას მოჰყვება მთავრობის ეკლესიის გავლენის გარეშე დარჩენაო.

ბელგრადი. სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება, ვინაიდან მეფე დაჟინებით თხოულობს ზარბაზნების შედარებით გამოცდას.

მოსკოვი. გრადონაჩალნიკმა ნება დართო მუშებს, შეიკრიბონ და მშვიდობიანად მოილაპარაკონ ფინანსთა სამინისტროში გასაგზავნ პეტიციაზე.

ვიტებსკი, 21 მარტი. ვაჭართა და უქმაყოფილო ნოქართა შორის შეთანხმება მოხდა ურთიერთისათვის დათმობით.

კოსტრომა. ერობა ზომებს იღებს მოსალოდნელ ხოლერის წინააღმდეგ.

პარიზი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს დერმარსერმა მოითხოვა, ვატიკანში საფრანგეთის საელჩო აღდგინდეს, რაც აუცილებლად საჭიროა და საფრანგეთმა არ უნდა შესწყვიტოს კავშირი პაპისთან. დელკასემ განაცხადა, რომ საელჩოს გაუქმება პალატამ უკვე მიიღო და სენატმა უნდა მიიღოსო. მილერანის აზრით ლუბეს რომში წასვლას სერიოზული შედეგი მოჰყვა საფრანგეთისათვის. დელკასე უპასუხებს, შეუძლებელია, რომ თავისუფალმა ხალხმა თავისი დამოკიდებულება იტალიის მეფესთან, უკანასკნელის პაპისთან დამოკიდებულებას დაუმორჩილოსო.

ბელგრადი. ოფიციალური ცნობით მთავრობამ დროს უქონლობის გამო, უარი განაცხადა ზარბაზნების გამოცდაზე. ფინანსთა მინისტრი პაჩუ ამ დღეებში ფრანკფურტში მიდის სესხის საშოვნელად.

პეტერბურგი. სენატორ ვლადიმერ ტრეპოვს ებოძა სასახლის შტალმეისტრობა და სენატორადვე დარჩა.

სტამბოლი. რადგანაც მაკედონიაში ძლიერ გახშირდა მკვლელობა, ამიტომ ბრძანება გამოიცა საგანგებო სამართლით დაისაჯოს მკვლელი და ჩამოიხრჩოს პოლიტიკურ მკვლელობისათვის.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

20 მარტი

მოგილევი, 21 მარტი. გუშინ, საღამოს ათ საათზე, ვილნის ქუჩაზე ცხენით მიმავალ პოლიცმეისტერის თანაშემწეს მიზგაილოს სამმა ბოროტ-გამზრახველმა სამჯერ ესროლა რევოლვერი. ტყვიებმა ახლოს გაუარეს, დამნაშავენი მიიმალნენ.

მინსკი, 21 მარტი. სადგურებ სოლტანოვკასა და ბუდა-კოშელევსკაიას შორის, ლიბავა-რომენის გზაზე საქონლის მატარებლები დაეჯახნენ ერთმანეთს. დაიმტვრა ათი ვაგონი, და დაზიანდა 6. მატარებლის მოსამსახურეები მძიმეთ დაშავდნენ ყველანი და გაიგზავნენ გომელის საავადმყოფოში. მიზეზი დაჯახებისა ისაა, რომ გაუშვიათ მატარებლები გზის განთავისუფლებაზე დეპეშის მიღებამდე.

ლონდონი. საზაფხულოთ მეფე მარიენბურგში წავა საქეიფოთ; იქავე მივა პორტუგალიის მეფეც.

პარიზი, 21 მარტი. ხმებია, მინისტრ-პრეზიდენტ რუვიეს განზრახვა აქვს სამსახურს თავი დაანებოს.—მაისში სპარსეთის შაჰი საფრანგეთში წავა, კონტრექსვილში საქეიფოთ.

ბერლინი. „მორნინგ პოსტ.“-ი დაბეჯითებით ამბობს, მეფე ედუარდი მარსელიდან წასვლის შემდეგ, პრეზიდენტ ლუბეს შეხვდებაო.

ათინა. სფაკიანაკისმა, რომელიც კრიტოსის საკრებულოს პრეზიდენტათ იყო, აშკარად გამოალაშქრა კანდიაში საბერძნეთთან შეერთების სასარგებლოდ. ჰფიქრობენ აჯანყებულების წინააღმდეგ არ იხმარებენ იარაღსაო.

პარიზი. ბრიტანიის ბრესტელმა კონსულმა ცნობა მიიღო, რომ ბრიტანიის ატლანტიის ფლოტის 8 საესკადრო ჯავშნოსანი და ხუთი კრეისერი ადმირალ ნეის უფროსობით ბრესტში მივა ივლისის პირველ ნახევარშიო. საფრანგეთის ესკადრაში, რომელიც სამაგიეროს გადასახდელად იქნება გაგზავნილი სპიტხედში, ხუთი საესკადრო ჯავშნოსანი, ცხრა კრეისერი და ხუთი კონტრ-ნაღმოსანი იქნება და უფროსად კაილერი ეყოლებაო.

პეტერბურგი, 22 მარტი. ცარსკოე სელოში მოვიდნენ პრინცი ჰენრიხ პრუსიელი და მისი მეუღლე; ვოგზალზე შეეგებნენ მათ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და ხელმწიფის ამალა.

ათინა. კუნ. კრიტოსიდან მოსულ ცნობებით იქ მდგომარეობა უფრო გამწვავებულა. მომავალში დიდი ამბები უნდა მოხდეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებ გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ(ხუთ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

პეტერბურგის ბირჟა 16 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83⅛
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	382
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	304½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	27½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	216

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვამძარებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—22

იყიდება იაფად ტფილისსა და გორში ხეხილის ხეები და ნერგები კ. აფრიკიანის სანერგეს „ტრუდ“-იდან.
მსურველმა უნდა მიჰმართოს: ტფილისში—მაღაზია მელიქ-ბახტამიანცისა და ამხან. პუშკინ. ქ. გორში—კ. აფრიკიანი. კატალოგები უფასოდ. (10—87—7)

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

✦ ცელულიარული გრენა ✦
(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—6)

პირველი საწყობი შეშისა
ბ. ი. კურცხალიასი

ცუდად დაწყობილი

კარგად დაწყობილი

ანდრეევის ქუჩა [illegible] პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
90—25)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

„მიქელ-ანჯელო“
ხელოვნურ ჩარჩოების მაღაზია
მიხეილის პრ. ს. სტეფანოვისა, № 67.

ბრწყინვალედ და კარგად გაკეთებული 4 მანეთად.
ვადიდებ პორტრეტებს კოხტა განიერ ჩარჩოში მინით. მრავალია ბაგეტები ჩარჩოებისა და კარნიზებისთვის მოდერნისა და როკოკოს სტილისა. ვსვამ სურათებს ჩარჩოებში. (2—119—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელევის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. ჯ. შვილისა—პოემა ბაჩანაჩი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნჭულს, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ხ ევანგულოვისა	—	1

ცინკოგრაფია
წიგნებ გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Доз. ценз. Тифлисъ 22 Марта 1905 г.
Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.